# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 26 დეკემბერი 1996 №138 (363) ფასი 40 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



# ყიფიანი უარზეა!

## მე აღარ მეკითხებიან? — გაიკვირვა გუშინ დავით ყიფიანმა, რომელსაც ნაკრების მწვრთნელობის უპირველეს კანდიდატად ასახელებენ.

ინგლისური მარცხის მერე კრიტიკით დასეტყვილი ფედერაცია მეტად უცნაურად იქცევა, ხან რას გაიგებ ამ ორგანიზაციის უმაღლეს ეშელონებში, ხან — რას. აგერ, ყველაზე ცხელი ამბავი — ყიფიანი ნაკრების სათავეში, ხურცილავა — „დინამოში“, ჩივაძე, გასაგებია, გადადგება. უკვე პრესაშიც დაიწერა ამის თაობაზე და გუშინ ჩვენს კორესპონდენტსაც „გაანდო“ ფედერაციის ერთმა ხელმძღვანელთაგანმა ეს ვარიანტი. ხურცილავას უცნაურმა ინტერვიუმაც ჩაგვაფიქრა — „ოდიშში“ ვითარება არც ისე ცუდია, მაგრამ შეიძლება მაინც წამოვიდე გუნდიდანო. ამდენ ვერსიაში გასარკვევად მოსკოვიდან ახალდაბრუნებულ დავით ყიფიანს მივადექი. ყიფიანმა მისმინა, მერე კი გაიცინა...

— კი მაგრამ, მე აღარ მეკითხებიან, მივდივარ თუ არა „დინამოდან“, ვეთანხმები თუ არა ნაკრების სათავეში ჩადგომას?!

**— ვხვდები, რომ თქვენთვის არავის უკითხავს ეს. რომ შემოგთავაზონ?**

— ადრე ხომ გითხარით, რომ კატეგორიულად არ დავთანხმდები. ამ პირობებში არ ჩავუდგები ნაკრებს სათავეში. ნაკრები ცოტა სხვა რამაა, ნაკრებია სწორედ ქართული ფეხბურთი და მიმაჩნია, რომ ასეთ პირობებში ნაკრების წარმატებაზე ფიქრიც კი ზედმეტია. მოკლედ, ჭორია ეგ და მეტი არაფერი. თანაც, არ მესმის, ნაკრების სათავეში ხომ ალექსანდრე ჩივაძეა და ვის აძლევს ხელს ამ ჭორების დაგდება? მე „დინამოსთან“ გარკვეული პასუხისმგებლობაც მაკავშირებს, მყავს პრეზიდენტი, რომელიც წყვეტს ჩემი დარჩენა-არდარჩენის საკითხს.

**— მოსკოვიდან ახლახან დაბრუნდით, ახალს ხომ არაფერს გვეტყვით?**

— ადრე გითხარით, რომ რამდენიმე ფეხბურთელმა დიდი ხანია ჩვენი ჩემპიონატის დონეს გადააჭარბა და დარჩენას აღარ აპირებენ. ჯამარაულის „სპარტაკში“ გადასვლა გამოირიცხა, „სპარტაკი“ თითქმის დაკომპლექტდა და უკვე შეკრებაზეა. ახლა ლაპარაკია „ტორპედოში“ ჯამარაულის, ლობჟანიძისა და გოგიჩაიშვილის გადასვლის თაობაზე. ალიოშინთან საუბრისას მე და ჟორდანია სახტად დავრჩით, როცა „ტორპედოს“ მფლობელმა... მის გუნდში გადასვლა შემომთავაზა! პირობები, იცოცხლეთ, მაგრამ მე ახლა „დინამოს“ არაფრის დიდებით არ დავტოვებ. ჩვენ შევთავაზეთ ზემოხსენებული სამეულის „ტორპედოსთვის“ ერთი წლის არენდით გადაცემა. რომ გაგვეყიდა, იქნებ ოცჯერ და ოცდაათჯერ მეტი თანხა აგვეღო, მაგრამ, მოგეხსენებათ, ჩემპიონთა ლიგაზე ვფიქრობთ. „ტორპედო“ ინტერტოტოზე გამოდის. ლიგაში შესასვლელად ჩვენ ორი წრე უნდა გავიაროთ. თუ „ტორპედო“ ინტერტოტოს ჯგუფიდან ვერ გავიდა, ჩვენ კი ჩვენი გაზრდილი რეიტინგის წყალობით პირველ ეტაპზე განთესილი სუსტი მეტოქე დავამარცხეთ, მეორე ეტაპისთვის და ჩემპიონთა ლიგისთვის ბიჭებს დავიბრუნებთ. ამაზეა გათვლილი ერთწლიანი არენდა. ეს ჩემი ვარაუდია, კონკრეტულად კი ჟორდანია ჩამოვა და ის გიპასუხებთ.

**— კობიაშვილთან გაზიევის დაინტერესება რა დონეზეა?**

— კობიაშვილი ალბათ ნახევარწლიანი არენდით წავა ვლადიკავკაზში. ეს საქმეც გარკვევის პროცესშია და უჟორდანიოდ ვერ გადაწყდება. რა დასამალია და, „დინამოს“ ახლა უჭირს ფინანსურად, ეს მცირე თანხები ასე თუ ისე შეგვეშველება.

**— მაშ „დინამო“ მოსკოვში ახალგაზრდული შემადგენლობით გაემგზავრება?**

— ალბათ. უკვე მივედი ამ გადაწყვეტილებამდე. ისევ თავიდან ვიწყებ.

**მამუკა კვარაცხელია**

# ფულები ჩვენი, მედლები თქვენი

მართალია, ქვეყნის საგაისო ბიუჯეტი ჯერ არ დამტკიცებულა, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ სპორტისთვის სახელმწიფო დაახლოებით 4,5 მილიონი ლარის გაღებას აპირებს. ეს თანხა, როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, მეხუთედია იმისა, რაც ქართულ სპორტს სჭირდება საიმისოდ, ერთი წელი დალხინებულად რომ იცხოვროს.

ნათქვამია, ფეხი იმხელაზე გაჭიმე რამდენზეც საბანი გაგწვდებაო. რაკი საბანქვეშ ადგილი ყველას ვერ შეხვდებოდა, ბუნებრივია, დღის წესრიგში დადგა სპორტის იმ სახეობათა გამოყოფის აუცილებლობა, რომელთა განსავითარებლად სახელმწიფო განსაკუთრებით იზრუნებს. სწორედ ამ მიზნით სპორტის დეპარტამენტის თაოსნობით და კახი ასათიანის თავმჯდომარეობით შეიქმნა წარმომადგენლობითი სახელმწიფო კომისია, რომელმაც ინტენსიურად იმუშავა და გუშინ საღამოს ვერდიქტიც გამოიტანა.

გადაწყდა, რომ სპორტის სახეობები, ტრადიციის, პოპულარობის, ავტორიტეტის და პერსპექტივის გათვალისწინებით, სამ ჯგუფად განაწილდეს:

I — ქართული ჭიდაობა, ძიუდო, თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ჭადრაკი, სპორტული თამაშები.

II — კრივი, ძალოსნობა, სამბო, მძლეოსნობა, ცურვა, სპორტული ტანვარჯიში, მხატვრული ტანვარჯიში, სროლა, ჩოგბურთი, ზამთრის სახეობები, მკლავჭიდი, ბატუტზე ხტომა.

III — ყველა დანარჩენი სახეობა.

ამ გადაწყვეტილებას, ვიმეორებთ, წინ უძღოდა ინტენსიური მუშაობა და აზრთა შეხლა-შემოხლა. კომისიის რამდენიმე წევრი სპორტის სახეობათა კატეგორიებად დაყოფის კატეგორიულადვე წინააღმდეგი იყო, ზოგი 12-15 სახეობის „დატოვებას“ და დანარჩენებზე „ხელის დაბანას“ მოითხოვდა, ზოგიც — ყველა სახეობის ერთნაირ პირობებში ჩაყენებას.

საბოლოოდ, ჯგუფებად დაყოფის პრინციპმა გადასწონა.

არგუმენტები: სახელმწიფო ყველა სახეობას ვერ უპატრონებს; ბიუჯეტის სახსრები იქ უნდა დავაბანდოთ, სადაც შედეგს მოველით; დეპარტამენტი პრიორიტეტს ანიჭებს ტრადიციულ და პოპულარულ სახეობებს; აგრეთვე კონკრეტულ გუნდებსა და სპორტსმენებს, რომელთაც დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებზე მედლების მოპოვების რეალური პერსპექტივა აქვთ.

ბიუჯეტის სახსრები ძირითადად მათ მოხმარდებათ.

მაგრამ გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის მომენტიც: ჩვენი ფული და თქვენი მედლები. ვინც ამ პირობას დაარღვევს, ჯიბეცარიელი დარჩება. მათ ადგილს კი ის დაიკავებს, ვინც ამ პირობაზე ყაბულს იქნება და საქმით დაადასტურებს, ძალა რომ შესწევს ქადილისა.




# ევროპა ზეინკლის ფეხქვეშ

**მათიას ზამერი „ფრანს ფუტბოლის“ გამოკითხვათა ისტორიაში მეორე მცველია, ვინც ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. მანამდე ეს პატივი ორჯერ ირგუნა მცველად მოთამაშე გერმანელმავე ფრანც ბეკენბაუერმა. მართლაც დიდი ფეხბურთელი უნდა იყო, გოლზე დაგეშილ შირერ-რონალდო-კლინსმანებს რომ აჯობო!**

იხილეთ მეოთხე გვერდი

# ანჩაბაძე — ყოფნა, არყოფნა...



1973 წელს დაბადებულ ჭაბუკთა გუნდში, რომელსაც ოთარ გეგეჭკორი წვრთნიდა, ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი იყო, მაგრამ ორი გიორგი მუდამ გამოირჩეოდა მათ შორის — ქინქლაძე და ანჩაბაძე. გამოხდა ხანი და, თუ ერთი გიორგის გადასაბირებლად „არსენალი“, „ლივერპული“ და „ნიუკასლი“ მილიონობით დოლარებს არ იშურებენ, მეორე გიორგი „დინამოს“ სათადარიგოთა სკამს ხეხავს. ბედმა ერთი გიორგი ალაზევა, მეორეს — ზურგი აქცია. თუ ორივეს ცხოვრებას გავაანალიზებთ, მივხვდებით, რომ ამ ეტაპზე შედეგი ლოგიკურია. ფეხბურთი მცირე ხნითაც კი ვერ ჰგუობს განდგომას...

ქინქლაძეზე ახალს ვერაფერს ვიტყვი, ანჩაბაძეზე კი ხშირად მიფიქრია ეს: როგორ შეიძლება, ასეთი თვითნაბადი ნიჭის, ვაჟკაცური ხასიათისა და ალალი გულის კაცი ფეხბურთიდან დაიკარგოს? ბევრი იტყვის, ყველაფერი ყიფიანის ბრალიაო. ამაზე რომ დავეკითხე, ბატონმა დავითმა გვიპასუხა, ანჩაბაძეს ძირითადისთვის ვამზადებდი, მაგრამ ჯამარაულის „დინამოში“ დაბრუნებამ ყველაფერი შეცვალაო. მართლაც, ჯამარაულმა უსიტყვოდ იტვირთა „დინამოს“ ლიდერობა და სადამდეც შეეძლო, გასწია კიდეც გუნდი. ანჩაბაძე კი ამ ყოველივეს სკამიდან ადევნებდა თვალს. ყიფიანის თქმით, მან სცადა ორივეს შეთამაშება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და ისევ ანჩაბაძეს შეელია. ჯამარაულმა გაუმართლა ყიფიანს და განა შეიძლება მთავარი მწვრთნელის დაძრახვა? გამარჯვებულს ხომ არ ასამართლებენ...

ლოგიკით ყიფიანი მართალია და ეს ანჩაბაძემაც ჩინებულად იცის, მაგრამ მისთვის რა სიკეთეა ამ სიმართლიდან?

**— გიორგი, ელოდი, რომ სეზონი ასე ჩაგშხამდებოდა?**

— სეზონის წინ, მოსამზადებელ პერიოდში სულ სხვაგვარად ვფიქრობდი. „დინამოდან“ უცხოეთში წასვლა, ფაქტიურად, გადაწყვეტილი მქონდა, მაგრამ რატომღაც ავიკვიატე, რომ ჩემი ოცნების გუნდში, თბილისის „დინამოში“ ამეხდინა ძველი სურვილი — მეთამაშა უეფას თასზე. სამწუხაროდ, უეფას თასზე კი არა, ჩემპიონატშიც კი არ მითამაშია ძირითადში. თუ მაინც ვიწყებდი თავიდან შემადგენლობაში თამაშს, მხოლოდ მაშინ, როდესაც ძირითადს ასვენებდნენ. მოკლედ, მეორეხარისხოვან ფეხბურთელად ვიქეცი და ეს იყო ყველაზე ცუდი სეზონი ჩემს ცხოვრებაში...

**— რით ახსნით ამას?**

— ნაწილობრივ ჩემს თავს ვაბრალებ, მაგრამ იმაშიც ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ რაც უნდა კარგად მეთამაშა, აზრი არ ჰქონდა, რადგან ყიფიანი არ მენდობოდა. ამან კიდევ უფრო დამცა: რაღა აზრი აქვს ვარჯიშებზე თავის მოკვლას, თუ მაინც არ გათამაშებენ? ჩემდა სამწუხაროდ, მე არა ვარ ის ფეხბურთელი, შეცვლაზე რომ შეიყვანო და ყველაფერი შეცვალოს. მე დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ მათამაშებენ, რადგან როგორც კი ვიგრძნობ, რომ ჩემი არ სჯერათ, მოვიშლები. თუ შეცვლაზე ჩემს შეყვანას მხოლოდ ეპიზოდური ხასიათი ექნება, ანაც მწვრთნელის ტაქტიკური ჩანაფიქრი იქნება ასეთი, რა თქმა უნდა, ხმას არ ამოვიღებ და შესაძლოა, თამაშში კარგადაც ჩავერთო, მაგრამ როდესაც მეორეხარისხოვან როლს მაკისრებენ, ჩემგან არაფერი გამოვა. არ ვიცი, ხმამაღლა ჟღერს თუ არა ეს, მაგრამ მე უნდა თავიდანვე მათამაშონ, თუ უნდათ, მაქსიმალური მოგება მიიღონ ჩემგან.

**— წლეულს იანვარში მოსკოვში მითხარი, რომ დანიის „ოლბორგს“ სურდა შენი მიწვევა. იგივე დამიდასტურა მერაბ ჟორდანიამაც. რატომ არ წახვედი დანიაში?**

— აკი გითხარი, მსურდა „დინამოდან“ ვალმოხდილი წავსულიყავი, ვიფიქრე, დანია სად გამექცევა-მეთქი. თურმე სულ სხვაგვარად ყოფილა საქმე. რომ მცოდნოდა, რა დღეში ჩავვარდებოდი, აბა, მაგ წინადადებას ხელიდან რატომ გავუშვებდი. არც მე მოვისვენებდი და არც სხვებს მოვასვენებდი, სანამ არ გამიშვებდნენ. მოსკოვის ტურნირზეც ტყუილად წავედი — მანამდე, ანთალიიდანვე იყო დაგეგმილი ჩემი დანიაში გამგზავრება.

**— ახლაც თუა რაიმე ვარიანტი დანიიდან?**

— ჟორდანიამ მითხრა, რომ არის და მეც ველოდები. „დინამოში“ რომ აღარ გავჩერდები, ყველამ იცის. გარდა ამისა, რომ სკამზე ვზივარ, ჩემი წასვლის სურვილი ერთმა ფაქტორმაც გააძლიერა: რა დასამალია და, „სკამის ხეხვის“ პერიოდში ვარჯიშს მოვუკელი, მთლიანად აღარ ვიხარჯებოდი, უგულოდ ვვარჯიშობდი, რაც უნდა ვყოფილიყავი, იმის ნახევარ დონეს ჩავცილდი. ჰოდა, დამაყენეს „ივერიასთან“, გავედი უგულოდ, სხვათა შორის ვითამაშე და... სამი გოლი არ შევაგდე? აი, მაშინ კი ვთქვი — ვაი შენს პატრონს, ანჩაბაძე! არ ვარჯიშობ და სამ გოლს აგდებ, რაღა უნდა მოგცეს ამ ჩემპიონატმა, თუნდაც ძირითადში ითამაშო?

არ მინდა კვეხნაში ჩამომართვან, მაგრამ ვიცი, რომ ღმერთმა ფეხბურთის ნიჭი მომცა. ვიცი, თუ ამ ნიჭს სათანადოდ არ გამოვიყენებ, დავისჯები, სასტიკად დავისჯები. ღმერთმა უკვე დამსაჯა ერთხელ ფეხბურთისადმი ზერელე დამოკიდებულების გამო, ისეთ დღეში ჩამაგდო, თავბედს ვიწყევლი. „ჰამბურგში“ ჩატარებულმა მატჩებმა კი დამარწმუნა, რომ თამაში შემიძლია. საკონტროლო მატჩში „ვერდერთან“ სამი ნახევარმცველი ვიყავით, ცენტრში მე უნდა შემესრულებინა საყრდენის ფუნქციებიც და გამთამაშებლობაც მეკისრა. იმდენი და ისეთი პასები ვაკეთე, თავად გამიკვირდა. გერმანელები ტყუილუბრალოდ არ შეგაქებენ. მივხვდი, მათ დონეზე თამაში შემეძლო და რომ არა საზარდულების ტრავმა, ამ ინტერვიუს სხვაგან აიღებდი და სულ სხვა ვითარებაში.

**— ყიფიანთან როგორი დამოკიდებულებაც გაქვს, გასაგებია, და მაინც — რამდენად დამნაშავედ თვლი მას შენს ასეთ ყოფაში?**

— მას ისე მიაჩნია სწორად, როგორც გუნდს ათამაშებს. თამაშებიც მოიგო, მეტიც, ვთვლი, ამ გუნდით ევროპულ სარბიელზე სასწაული ჩაიდინა. ჯამარაც ჩემი ძმაკაცია. აბა, რა ვთქვა?

მიუხედავად ამისა, გინდა, არ გინდა, ჩემი უთამაშებლობა ყიფიანისგან მოდის. მე რომ ვინმემ ქუჩაში შეურაცხყოფა მომაყენოს, ვიცი, რას ვუპასუხებ და როგორც მოვიქცევი, არც მინდორზე დავუთმობ ვინმეს რამეს, მაგრამ აქ რა გინდა ქნა? ერთადერთი, თუ დამიჯერებ, იმით ვიმშვიდებ თავს, რომ ის დავით ყიფიანია! და არა ვინმე სხვა. ბევრჯერ გვისაუბრია ამ თემაზე, მაგრამ შედეგი? მოთმინების ფიალა კი მაშინ ამევსო, „ბოავიშტასთან“ 18 ფეხბურთელიდან მე და ხომერიკი რომ დაგვტოვეს განაცხადის გარეშე.

როდესაც ყიფიანს ველაპარაკები, ვხვდები რომ ვჭირდები. სასწაული ისაა, რომ მის წინააღმდეგ ვერ ვბედავ წასვლას. ძალიან დიდი ავტორიტეტი ყოფილა ყიფიანი. მე არ მეშინია ვინმეს კონკურენციისა. მე მქონდა ჩემი თავის იმედი. მაგრამ კიდევ ასე თუ გაგრძელდა, საერთოდ შევეშვები ფეხბურთს. უკვე გული მიცრუვდება. ვერ წარმოიდგენ, როგორ მიყვარდა ფეხბურთი, წაუკითხავს არ ვტოვებდი არაფერს, ვიწერდი ანგარიშებს, ღამეებს ვათენებდი თამაშების ყურებაში. საუბედუროდ, თავის დროზე, სსრკ ჩემპიონატიდან გამოსვლამ გული ამიცრუვა ფეხბურთზე და იმიტომაც დავისაჯე. ახლა მეორედ მემართება ასე და ვგრძნობ — მორჩა, ზღვრამდე მივედი. ან ვითამაშებ, ან შევეშვები. ახლა მერაბ ჟორდანიაზე ვარ დამოკიდებული. მითხრა, ისევ დანიის ვარიანტიაო.

„დინამოში“ ჩემი დარჩენა გამორიცხულია. თუ ახალ გუნდშიც სკამზე მოვხვდი, უმალ შევეშვები ფეხბურთს. ამის ფეხბურთი მორჩაო — არავის ვათქმევინებ. მანამდე მოვრჩები თამაშს.

მოკლედ, ჩემი საფეხბურთო ბედი რამდენიმე დღეში უნდა გადაწყდეს. წავალ — ვითამაშებ, ვერ წავალ — მორჩა...

... ბედმა ანჩაბაძეს ისევ შეაქცია ზურგი: აიეტის თასზე, იმის მაგივრად, ჩემპიონობა მოეპოვებინა და საუკეთესო მოთამაშე გამხდარიყო, გადამწყვეტი პენალტი ააცილებინა. ეტყობა, ისევ მოაკლო რაღაც ფეხბურთს და დაისაჯა. თუ მართლა გაუხერხეს, ვფიქრობ, ანჩაბაძე კარგად მოერგება დანიურ ფეხბურთს, რა თქმა უნდა, გულიანად თუ გაირჯება. ერთი სიტყვით, დანიელ უფლისწულ ჰამლეტივით გიორგი ანჩაბაძესაც ახლა ყოფნა-არყოფნის საკითხი უდგას...

ყოფნა. — გიორგი!

**მამუკა კვარაცხელია**


# CROCO ქუთაისში

საქართველოს დასავლეთ დედაქალაქში

მუშაობს სპორტული ლატარია "CROCO"

ამიერიდან ქუთაისელები და ქუთაისის

სტუმრებიც ისარგებლებენ:

- *ყველაზე მაღალი კოეფიციენტებით*
- *ყველაზე მოქნილი და ხელსაყრელი წესებით*
- *ყველაზე ვრცელი და მრავალფეროვანი პროგრამით*
- *ყველაზე ოპერატიული და დეტალური ინფორმაციით*

და, რა თქმა უნდა, მოგებული თანხის დაუყონებლივ მიღების სრული გარანტიით!

**მისამართი: ქუთაისი, პუშკინის ქუჩა №16 დასავლეთ საქართველოს ტელერადიოკორპორაცია „ივერიონის“ შენობა**


## დაარსდა ქართული ფეხბურთის დახმარების ფონდი

გუშინწინ ალმაშენებელზე, ძველი ფილარმონიის შენობაში წარადგინეს ახალ დაარსებული „ქართული ფეხბურთი ფონდი“. ფონდის ვიცე-პრეზიდენტის უშანგი ჭურაძის თქმით, საქმიანობა 1996 წლის 21 მაისს დაუწყიათ. ფონდის პრეზიდენტი სახელოვანი დინამოელი გაიოზ ჯეჯელავა გახლავთ. მიზანი კეთილშობილურია — დაეხმარონ გაჭირვებაში ჩავარდნილ ქართულ ფეხბურთს. ფონდში მოქალაქეთა გასაწევრიანებლად კი მეტად ორიგინალური ხერხი შეურჩევიათ — „22“ სატელეფონო სადგურის 5 000 აბონენტს დაკავშირებიან თხოვნით, 1 ლარის საფასურად გაწევრიანებულიყვნენ ფონდში. მათგან 150 კაცი გამოხმაურებია წინადადებას. ამას გარდა, კიდევ 850 მოქალაქე და რამდენიმე ორგანიზაციაც დაუყაბულებიათ და საქმიანობასაც შესდგომიან. პირველი ნაბიჯებიც გადადგეს — ლანჩხუთის „გურიას“ 1 500 ლარით შეეწივნენ, ვანის „სულორს“ — ათასით.

ფონდის პრეზენტაცია არატრადიციულად წარიმართა. უშანგი ჭურაძემ ფონდის წევრებს სთხოვა, გამოეთქვათ მოსაზრება, რა პრიორიტეტებით ესარგებლათ საქმიანობაში. ფაქტიურად, პრეზენტაცია აზრთა გაზიარებად იქცა. საბოლოოდ გადაწყდა, რომ ფონდის წევრები კვლავ შეიკრიბნონ და იმსჯელონ თავიანთი საქმიანობის მიმართულების თაობაზე.

## არც თქვენი მუსლიმობა მინდა და...

შეუთვალა „დინამო-2“-ის მცველმა ირაკლი გემაზაშვილმა თურქულ „სამსუნსპორს“, რომელთანაც ზაფხულის შემდეგ გადასვლის თაობაზე მოლაპარაკებას აწარმოებდა. ადრე გაუწყეთ, რომ თურქებმა ირაკლის თურქეთის მოქალაქეობის მიღება, წინაპართ რჯულის დაგდება და გამუსლიმება შესთავაზეს, რაც „სამსუნსპორში“ მისი ჩარიცხვის წინაპირობა უნდა გამხდარიყო. ირაკლი ამას არ დაყაბულდა და საქართველოში გამოეშურა, თურქებმა კი სიტყვა დაადევნეს — მერე შეგეხმიანებით და იქნებ შევთანხმდეთო. ახლახან თურქები მართლაც დაუკავშირდნენ გემაზაშვილს, თუმცა აღმოჩნდა, რომ მათი პირობები არ შეცვლილა: ვითომ გამოსავალიც იპოვეს და თავის ჭკუაში ქართველი გაახარეს. თუ მუსლიმობაზე უარს იტყვი, III ლიგაში მოასპარეზე ჩვენ ფარმ-კლუბში გათამაშებთო. არც თქვენი მუსლიმობა მინდა და არც თქვენს მესამე ლიგაში თამაშიო — ასეთი იყო ჩვენებურის პასუხი, რომელიც 5 იანვრიდან „დინამო-2“-ში შეუდგება ვარჯიშს, მენეჯერის საშუალებით კი ახალ კლუბის ძებნას განაგრძობს.

## ჭურაძე „პლევენშია“

ბულგარეთში გახიზნული „გურიის“ მეკარე სერგო ჭურაძე, თუ გახსოვთ, სოფიის „ლოკომოტივის“ კარს იცავდა. ახლა მას გუნდი შეუცვლია, II ლიგის სტარა-ზაგორას „პლევენში“ გადასულა, რომელიც ლიგაში მე-3 ადგილზეა და ბულგარეთის უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად იბრძვის.

## აფხაზეთის ჩემპიონი

აფხაზი სეპარატისტები დიდ ყურადღებას უთმობენ სპორტულ ღონისძიებებს. ამით იმის დამტკიცება სურთ, რომ ვინაიდან აფხაზეთში სპორტული შეჯიბრებები ტარდება, ყველაფერი რიგზეა და ცხოვრება კალაპოტში დგება. თითქმის ყველა უცხოელ სტუმარს ამას ეუბნებიან — ხომ ხედავთ, ჩვენთან საფეხბურთო პირველობაც ტარდებაო.

ეს პირველობა სწორედ ამასწინათ დასრულდა და სოხუმის გაზეთებმა „რესპუბლიკა აბხაზიამ“ და „ეხო აბხაზიამ“ ამის შესახებ გამოაქვეყნეს ცნობები.

აფხაზეთის ჩემპიონი გამხდარა ოჩამჩირის გუნდი „ერცახუ“, რომელსაც „სუპერთასიც“ მოუპოვებია. ოჩამჩირის კულტურის რაიონულ სახლში ადგილობრივი საზოგადოება შეხვედრია „ერცახუს“ ფეხბურთელებს. აფხაზური მთავრობის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ბარციცმა მათ გადასცა ჩემპიონატის მთავარი პრიზი, სუპერთასი და პრემია — ერთი მილიონი რუსული რუბლი. არძინბას სახელით ვლადიმერ აშხაცავამ (70-80-იან წლებში მას ოჩამჩირეში და სოხუმში მაღალი თანამდებობები ეკავა, 1992 წლიდან კი იყო აფხაზეთის უზენაესი საბჭოს წევრი) „ერცახუს“ წარმატება მიულოცა და აღნიშნა, რომ არძინბას ფონდიდან გამოყოფილი თანხით მათთვის შეძენილია საფეხბურთო ფორმის ერთი კომპლექტი.

ოჩამჩირის რაიონის აფხაზურმა ადმინისტრაციამ „ერცახუ“ დაასაჩუქრა სამი მილიონი რუსული რუბლით. გუნდის 13 მოთამაშეს მიენიჭა „აფხაზეთის სპორტის ოსტატის“ წოდება, „აფხაზეთის საპატიო სპორტის ოსტატის“ წოდება კი მიანიჭეს ყოფილ ფეხბურთელს, წარმოშობით ოჩამჩირელ ვალერი დელბას (60-70-იან წლებში თამაშობდა სოხუმის „დინამოში“, უთამაშია ქუთაისის „ტორპედოშიც“). იგი, სხვათა შორის, 1993-94 წლებში სეპარატისტთა მთავრობაში სპორტკომიტეტის თავმჯდომარე იყო, რაც გასაკვირი სულაც არ არის: დელბა ბოლო 7-8 წლის განმავლობაში აქტიურად ეხმარებოდა წამყვან სეპარატისტულ ორგანიზაცია „აიდგილარას“.

ოჩამჩირეში გამართულ შეხვედრაზე პირველად გაისმა „ერცახუს“ საფეხბურთო მარში (ავტორები ოთარ ფერზბა და ზაურ დელბა), რომელიც შეასრულა აღმოსავლეთის ფრონტის (1992-93 წლებში სეპარატისტა და მათი მფარველების ჯარში იყო ასეთი) ინსტრუმენტულმა ანსამბლმა „უარადამ“.

„ერცახუს“ წამყვანი ფეხბურთელი ყოფილა 18 წლის ბესლან პაპასკირი, რომელსაც წლევანდელ პირველობაში 46 ბურთი გაუტანია. მას გადასცეს „ეხო აბხაზიის“ მიერ დაწესებული ბომბარდირის პრიზი. გაზეთი პაპასკირის შედეგს ფენომენალურს უწოდებს — 46 გატანილი ბურთით ბევრი ვერ იტრაბახებსო, თუმცა გაზეთი არაფერს წერს იმის შესახებ, რა დონისაა აფხაზეთის პირველობა — იქ ხომ სოფლის გუნდები და ფიზკულტურის კოლექტივები ასპარეზობენ. არ წერს იმასაც, თუ რამდენი გუნდი თამაშობდა წელს აფხაზეთის ჩემპიონატში (შარშან 14 იყო). ბესლან პაპასკირი სოფელ ტამიშის მკვიდრია, ომის დროს ყოფილა სოფელ ჭლოუში, შემდეგ კი ბიჭვინთაში. 1994 წლიდან თამაშობს „ერცახუში“. მამამისი ოჩამჩირის ბაზრის მუშაკია, გულშემატკივრები ბესლანს თურმე „პოპიკს“ ეძახიან. ახლახან ბესლანი გაუწვევიათ აფხაზურ „ჯარში“ და რამდენჯერმე სოხუმის ЦСКА-შიც ათამაშეს. არავის გაუკვირდეს ამ კლუბის სახელწოდება — შარშან აფხაზეთის პირველობაზე თამაშობდა გუნდი სახელწოდებით „ეონნომორსკოი ფლოტ აფხაზიი“. ცსკა-ს წელს აფხაზეთის თასი მოუპოვებია, სუპერთასი კი „ერცახუსთან“ წააგო. სუპერთასის წინ სადავოც გამხდარა, სად ეთამაშა ბესლან პაპასკირს „ერცახუში“ თუ ცსკა-ში. გადაწყდა, „ერცახუში“.

ზემოაღნიშნულ შეხვედრაზე ფეხბურთელების წინაშე გამოვიდნენ აფხაზი მსახიობები. ერთ-ერთმა პაროდისტმა გამოაჯავრა ნიკოლაი ოზეროვს, ვითომდა მას „ერცახუს“ მატჩის რეპორტაჟი მიჰყავდეს, მერე კი მან დამსწრეთ ზოგიერთი ქართველი პოლიტიკური მოღვაწეც „წარმოუსახა“ და გულიანად აცინა შეკრებილნი.

**თენგიზ პაპასკირია**

**სიგანგებოდ „სარბიელისთვის“**

## I წრე
### ანალიზი

„შევარდენი" ბოლო წლებში არცთუ სახარბიელო დღეშია. მისი შეერთების მცდელობანი „თეთრ-არწივთან" და „ლოკომოტივთან" საბოლოოდ იმით დამთავრდა, რომ „უნივერსიტეტს" შეუერთდა.

უკვე დღეს, წარუმატებლად ჩატარებული I წრის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ „შევარდენს" საშველი დაადგა. წლევანდელი გუნდი საუკეთესოა სამი წლის იმ გუნდთა შორის, რომლის პრეზენტაცია დიდი აფიშირებით ჩაივლიდი ხოლმე, მაგრამ მალე, საკუთრივ კლუბის მესვეურთა გარდა, არავის ახსოვდა.

უდავოა, ახლანდელი „შევარდენიც" ვერ დაიკვეხნის დიდი მიღწევებით და ეს მით უფრო უცნაურია, I წრეში მის მიერ ჩატარებულ თამაშებს თუ გავიხსენებთ. მატჩიდან მატჩამდე „შევარდენი" გამართული ფეხბურთის ფრაგმენტებს აჩვენებდა. იყო მატჩები, რომლებიც „შევარდენმა" ტრიუმფული სვლით, ერთი ამოსუნთქვით მოიგო. ასე იყო, მაგალითად, „გურიასთან". თუმცა ისეთი მატჩებიც მოიძიება, მეტოქემ პირწმინდად რომ გადაურბინა.

მაინც, შედეგის მიუხედავად, ლიდერთა ბანაკის გარეთ მცხოვრებთა შორის ძნელია ისეთი სტაბილური გუნდის მოძებნა, როგორიც ჩვენი ყურადღების ამჟამინდელი ობიექტი. სტაბილურობა, მეტწილად, თამაშის მართვაში ახასიათებდა „შევარდენს" და არა სასურველი შედეგის მიღწევისას. ვერავინ გაიხსენებს მატჩს, რომელშიც მან ბოლომდე არ იბრძოლა. მის უშეღავათობას ფრეთა რაოდენობაც ადასტურებს. „შევარდენი" ყველაზე მეტჯერ, 6 მატჩში დაუზავდა მეტოქეს — სამჯერ შინ და სამჯერაც სტუმრად.

აქ არ შევუდგებით იმ მატჩთა ცალ-ცალკე განხილვას, რომლებშიც „შევარდენმა" ან მეტოქეს გაუფუჭა ხასიათი, ანაც თავად დარჩა დაღვრემილი. ამის მიზეზი იოლი გასაგებია. ყველა შეხვედრაში მიღწეულ შედეგს თავისი ობიექტური მიზეზი გააჩნია და მათში ჩაღრმავება ჩვენთვის შეუძლებელია, თანაც არც თუ სასურველი.

მთავარია, როგორი გახლდათ „შევარდენის" ზოგადი სახე წლევანდელი ჩემპიონატის პირველ წრეში.

დაგვეთანხმებით, ჩვენს ჩემპიონატში არ მოიძებნება ბევრი ისეთი გუნდი, რომელიც სწორ, გააზრებულ ფეხბურთს თამაშობს. არ მოიძებნება ისეთი თავდასხმა, მთელი მატჩის შეუჩერებლივ, ბევრს რომ მოძრაობს, იხსნება, ბურთს იღებს, გააქვს და აცილებს. ვერ იპოვით ბევრ ისეთ ნახევარდაცვას, ბურთს რომ სწრაფად, ლაღად და შეთანხმებულად ათამაშებდეს და ასე თამაშ-თამაშ მიდიოდეს მეტოქის საჯარიმომდე, იქ კი მეტწილად საუკეთესო არჩევანს აკეთებდეს და ფორვარდს სწორ, ზუსტ პასს აწვდიდეს. ამავე დროს, გამორჩეული ლიდერი არ ჰყავდეს და მაინც კი აწყობილად თამაშობდეს. ძნელია ისეთი დაცვის პოვნაც, მეტოქის ფეხბურთელებს საკუთარ საჯარიმომდე საპატიო ესკორტივით რომ არ მიაცილებს და სწორედ იმ წამში აართმევს მეტოქეს ბურთს, რაწამს ჩაფიქრებული ყურადღებას მოადუნებს. ამას ხან ერთად აკეთებს, ხანაც ცალ-ცალკე, ერთი ყველასთვის არის და ყველა ერთისთვის. ჩვენში კარგი მეკარეებიც ბლომად არიან, ოღონდ დროდადრო ყველა გამოუსწორებელ შეცდომას უშვებს. თუ ვინმეს ასეთი შეცდომები მინიმალურად მცირე აქვს, ეს ამ გუნდის კარის დარაჯზეც შეიძლება ითქვას. ამ ჩვენი „ოცნების გუნდის" მოდელთან „შევარდენი" კარგა მიახლოებული გახლდათ. და თუ ასეთი თამაში მას ზოგჯერ უფრო ახასიათებდა, ვიდრე უმეტესად, ეს ალბათ გამოუცდელობას უნდა მიეწეროს.

II წრეში „შევარდენს" გამოუცდელი აღარ ერქმევა. მას მეტს მოსთხოვენ, წელს დაშვებულ ელემენტარულ შეცდომებსაც იოლად აღარ აპატიებენ.

მაინც გვგონია, რომ ქათინაურთა ზღვა „შევარდენის" ახალგაზრდა თაობას ჯერ კიდევ წინ აქვს და მათი გაცემა რეპორტიორებს მალე ავანსად აღარ მოუწევთ.

წარმატებათა საწინდარი „შევარდენისათვის" ის ჯანსაღი წრე და ატმოსფერო უნდა გახდეს, რომელიც მის შიგნითაა და გარსაც აკრავს. ყველაზე მეტად სწორედ ამას უნდა გაუფრთხილდნენ.

**ვახტანგ ბზიკაძე**

# თსუ-შევარდენი 1906 თბილისი
## მეთერთმეტე ადგილი

### მწვრთნელი

## გუჯა ხუციშვილი: ბიჭები თავის ძალებში დავარწმუნე

**— ბატონო გუჯა, თქვენს თვალწინ გაიარა „შევარდენის" თითქმის ყველა თაობამ და მთავრობამ. ბუნებრივია, თქვენი აზრი ამ გუნდზე ყველაზე კომპეტენტურია.**

— თითქმის ათი წელია, რაც „შევარდენში" ვარ. ამ ხნის განმავლობაში რამდენჯერმე შეიცვალა სიტუაცია და იყო ისეთი პერიოდებიც, როცა ლიგაში დარჩენისათვის ვიბრძოდით და ისეთიც, ლიდერებში რომ ვიყავით. ნურავინ მიწყენს, მაგრამ „შევარდენი" უმეტესად ნარჩენი ფეხბურთელებით კომპლექტდებოდა. მიუხედავად ამისა, გარკვეულ სტაბილურობას მაინც ვინარჩუნებდით. ვცდილობდით, სეზონის განმავლობაში შემადგენლობა სტაბილური გვყოლოდა.

რაც შეეხება დღევანდელ „შევარდენს", „შევარდენი" ერქმევა მას თუ „უნივერსიტეტი", ეს ჯერ კიდევ გასარკვევია და ირკვევა კიდეც. ყოველ შემთხვევაში, გუნდის მეპატრონეები „შევარდენის" წინააღმდეგნი არ არიან. აქ არის სხვადასხვა მოსაგვარებელი საკითხი, ვთქვათ, იგივე ქარხნის ხელმძღვანელობასთან. პირადად მე მომხრე ვარ, რომ „შევარდენი" ერქვას.

დღევანდელი გუნდი ძალიან ახალგაზრდაა. პირველჯგუფგამოვლილი აქ მხოლოდ 3-4 კაცია. დანარჩენები II ჯგუფიდან და ბავშვთა ფეხბურთიდან მოვიდნენ. პოტენცია ნამდვილად არის. შეიძლება ვცდები კიდეც, მაგრამ გუნდის შესაძლებლობებში დარწმუნებული ვარ, მას მაშინაც ვაკვირდებოდი, როცა გუნდის უფროსი ვიყავი. ამ ხნის მანძილზე ფეხბურთელები დღითიდღე იზრდებოდნენ. უშუალოდ მათთან საუბარი და დავალების მიცემა რომ მომიხდა, დავრწმუნდი, რომ არ შევმცდარვარ. გუნდში მისულს ნამუშევარი საკმაო დამხვდა. წასულ ხელმძღვანელობას ბევრი ემუშავა. მიუხედავად ამისა, მგონია, რომ ჩვენც სიახლე შევიტანეთ. ვერ ვიტყვი, რომ სასწაული მოვახდინეთ, მაგრამ გავაკეთეთ ის, რაც მთავარი იყო. ჩვენ დავარწმუნეთ ფეხბურთელები მათ ძალაში, თუმცა ბევრი საუბარი დაგვჭირდა, რომ შიში მოგვეხსნა.

**— ესე იგი, თქვენს მოსვლას რაიმე პრობლემა არ შეუქმნია.**

— ვერ ვიტყვი, რომ გუნდს რაიმე განსაკუთრებული ვარჯიშები დავუნიშნე. უფრო მეტად მოთამაშეთა ფსიქოლოგიურად სათანადოდ განწყობას ვცდილობდი.

სხვათა შორის, სეზონის წინაც მივიღე შემოთავაზება, მაგრამ რაკი ეს ფეხბურთელები მათი მწვრთნელის გაზრდილები იყვნენ, თვითონვე ვთქვი უარი. საწყენად ნურავინ მიიღებს, მაგრამ მათ პირველ ჯგუფში მუშაობის გამოცდილება არ ჰქონდათ.

**— თქვენი მოსვლის შემდეგაც გარკვეული ძიებანი გაგრძელდა. ფიქრობთ, რომ ოპტიმალურ ვარიანტს მიაგენით?**

— ვფიქრობ, მივაგენით. ჩემი მოსვლის შემდეგ მხოლოდ ორი თამაში წავაგეთ. აქედან გაუთვალისწინებელი იყო „მერანთან" მარცხი. რაც შეეხება „დინამოსთან" თამაშს, წაგებას არავინ გეგმავს, მაგრამ ბევრსაც არ მოველოდით.

**— შინ დაკარგული ქულების სანაცვლოდ სტუმრად აიღეთ ქულები.**

— ყოველ შემთხვევაში, სტუმრად არ წაგვიგია. არც თასზე, არც ჩემპიონატში.

**— თქვენ შევარდენელთა პოტენცია ახსენეთ. ეს გუნდი ბევრის სიმპათიას იმსახურებს, მაგრამ თქვენ, მის მწვრთნელს, უფრო სრულყოფილი შეხედულება გაქვთ.**

— არ მინდა, ცალკეული გვარები ჩამოვთვალო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამ გუნდის მოთამაშეთა 80 პროცენტი საქართველოს ნაკრებ გუნდებში მოხვდება.

**— რგოლების მიხედვით როგორ შეაფასებთ გუნდის თამაშს?**

— მეკარის უკმაყოფილო ნამდვილად არ ვართ. დაცვის თამაშითაც კმაყოფილი ვარ და ნახევარდაცვისაც. ჩვენ უფრო თავდასხმის უკმაყოფილო უნდა ვიყოთ. მაგრამ ისიცაა, რომ საბიაშვილის და ჩუხუას ტრავმების გამო ორი თავდამსხმელით თითქმის არც გვითამაშია. მათი უკმაყოფილო მაინც უფრო იმით ვარ, რომ გოლები ცოტა გაჰქონდათ.

### პრეზიდენტი

## ზაალ ცხვარაძე: რა ერქმევა გუნდს, თსუ გადაწყვეტს

**— როგორ მიხვედით კლუბის სათავეში?**

— მეხუთე ჩემპიონატის III ჯგუფში ასპარეზობდა გუნდი პსკ-„იბერია", რომელსაც ჩვენ სპონსორობას ვუწევდით. შემდეგ კი ამ კლუბის პრეზიდენტთან უთანხმოება მოგვივიდა და კლუბს მე ჩავუდექი სათავეში. მომდევნო ჩემპიონატში II ჯგუფში გადმოვედით და „უნივერსიტეტის" სახელით ვთამაშობდით, რადგანაც ამ პერიოდში ხელშეკრულება გავაფორმეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რომელიც ნაწილობრივ ახლაც გვეხმარება. წელს შევუერთდით „შევარდენი 1906"-ს. გუნდი „უნივერსიტეტის" მოთამაშეებითა და ხელმძღვანელებით დაკომპლექტდა. „შევარდენიდან" მხოლოდ სამი მოთამაშე დავიტოვეთ.

**— I წრეში თქვენს კლუბს გარდამავალი სახელი თსუ-„შევარდენი 1906" ერქვა. II წრიდან მისთვის „უნივერსიტეტის" დარქმევა გადაგიწყვეტიათ. როგორც შევიტყვე, ეს გარკვეულწილად დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ გაირკვევა ურთიერთობა საავიაციო ქარხნის ხელმძღვანელობასთან. იმასაც ამბობენ, გამორიცხული არაა, თქვენს გუნდს სტადიონის ძებნაში მცხეთაში თამაშიც მოუწიოსო.**

— საავიაციო ქარხნის ხელმძღვანელობა აქ არაფერ შუაშია. რა დაერქმევა გუნდს, ეს თებერვლის შუაში გაირკვევა. ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, რას მოითხოვს უნივერსიტეტი, რომელთან დადებულ ხელშეკრულებაში გვიწერია, რომ გუნდს „უნივერსიტეტი" უნდა ერქვას.

**— სტადიონის პრობლემა თქვენს წინაშე არ დგას?**

— არა. ჯერჯერობით „შევარდენის" სტადიონზე ვთამაშობთ. სხვასთან მოლაპარაკება არ გაგვიმართავს, რადგან ამის მიზეზი არც გვქონია. ამჟამად „შევარდენის" სტადიონზე რემონტი მიმდინარეობს და თუ მოედნის საფარი გაუმჯობესდა, ნორმალური პირობები გვექნა, სტადიონი სხვაგან რატომ უნდა ვეძებოთ?

**— ვინ არემონტებს სტადიონს?**

— ის, ვისაც იჯარით აქვს იგი აღებული — „შევარდენის" ძველი ხელმძღვანელობა. არ ვიცი, ამ ფირმის პრეზიდენტი ისევ ქტიაშვილია თუ არა, მაგრამ ვიცი, რომ ჩვენ მათ ვუხდით ფულს.

**— „შევარდენს" ქვეიჯარის უფლება გააჩნია?**

— ვერ გეტყვით. მხოლოდ ის ვიცი, რომ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვთამაშობთ ამ სტადიონზე და პირობები ორივეს გვაწყობს.

**— რა ხნითა აქვს „შევარდენს" იჯარით აღებული საავიაციო ქარხნის სტადიონი?**

— არც ეს ვიცი.

**— თქვენი კლუბი რა იურიდიული სტატუსით არსებობს?**

— ამჟამად კლუბის დამფუძნებელია ერთი პირის საწარმო „პსკ-თბილისი", რომელიც ხელახალი რეგისტრაციის პროცესშია და მალე სააქციო საზოგადოებად გარდაიქმნება.

**— ვის ხელთ იქნება აქციები?**

— „უნივერსიტეტის", ერთი ამერიკული ფირმის მოსკოვური წარმომადგენლობის და კერძო პირთა ხელში.

**— გულშემატკივარს თუ ექნება აქციათა შეძენის შესაძლებლობა?**

— მათთანაც ვითანამშრომლებთ.

**— ამერიკული ფირმის სახელი დღემდე არსად თქმულა...**

— აკრძალული გვაქვს აფიშირება.

**— „დისყონტბანკს", რომელსაც თქვენი ძმა, დიდი გულშემატკივარი მირიან ცხვარაძე ხელმძღვანელობს, აქვს თუ არა რაიმე კავშირი გუნდთან?**

— არავითარი.

**— თქვენმა გუნდმა პირველი წრე მძიმედ დაიწყო, რასაც მწვრთნელის ცვლილება მოჰყვა. ამან მითქმა-მოთქმა გამოიწვია. რა ვითარებაში მოხდა უჩა ქანთარიას გათავისუფლება?**

— პირველ ჯგუფში რომ გადმოვედით, მიზნად ათეულში მოხვედრა დავისახეთ, პირველ ტურებში კი ჯგუფში დარჩენაც საეჭვო იყო. მე შევკრიბე ხელმძღვანელობა და მოვთხოვე მათ პასუხისმგებლობის თავის თავზე აღება. უჩა ქანთარიამ ეს ვერ შეძლო და ნებით წავიდა.

ამის შემდეგ ელგუჯა ხუციშვილს ვთხოვეთ გუნდის გაწვრთნა და ჯერჯერობით შედეგითაც და თამაშის ხარისხითაც კმაყოფილი ვარ. ჩვენ პროგრამა-მინიმუმი შევასრულეთ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი დასანანი ქულა დავკარგეთ.

**— „შევარდენი" ზუგდიდში მატარებლით წავიდა და „ოდიშთან" წააგო. რამ გაიძულათ ასეთი მგზავრობა?**

— ავტობუსის პრობლემა არ გვქონია.

**— მაშ სასტუმროს თანხა დაზოგეთ?**

— უბრალოდ, ასე ჩავთვალეთ საჭიროდ, ბიჭებმა გზაში დაისვენეს. მეორე დღეს ზუგდიდში გაიარ-გამოიარეს და დასვენებულებმა ითამაშეს.

**— სხვები რატომ არ მგზავრობენ ასე?**

— ვერ გეტყვით. ჩვენ ჩვენი ვიცით. ისე, ფოთშიც მატარებლით წავედით.

**— და ზუგდიდისგან განსხვავებით შედეგს მიაღწიეთ — ქულა აიღეთ...**

— ეს იმიტომ, რომ ფოთში საფირმო მატარებლით წავედით და ბიჭებს დასვენების უკეთესი პირობები ჰქონდათ.

**— რა არის თქვენი მიზანი: ფულის შოვნა, მოთამაშეთა გამოზრდა, კარგი გუნდის შექმნა თუ ყველაფერი ერთად?**

— ყველაფერი ერთად. ადამიანი ფულს რომ ხარჯავს, ბუნებრივია, მოგებას ელის. ესაც არის ჩვენი დაფინანსებლებისა და ჩვენი მიზანი.

**— უახლოეს მომავალში გაძლიერებას ვისით აპირებ?**

— ლაპარაკი გვაქვს ივერიელ ჰამლეტ წივწივაძეზე. იგი რიგის „სკონტოში" აპირებდა წასვლას, მაგრამ ახლახან შევიტყვე, რომ საქმე სხვაგვარადაა. მას აქაური კლუბებიც ეპატიჟებიან. ჩვენც ვიბრძოლებთ მის შესაძენად.

**— შეკრების მოწყობას სად აპირებთ?**

— თურქეთში ან სლოვაკეთში.

**— სეზონის პერიოდში თუ აწყობთ შეკრებებს?**

— „შევარდენის" სტადიონზე ვაწყობდით. იქ ყველანაირი პირობა გვქონდა. იქვეა სასტუმრო, კვების ბლოკი და მოედანი. ეს პირობები დღევანდელ სიტუაციაში დამაკმაყოფილებელია.

**— თქვენ წელს ორი გუნდით ასპარეზობთ. კარგი შედეგით ვერც „შევარდენი-2" დაიკვეხნის...**

— ერთ თვეში გამოცდილი ფეხბურთელების შეკრება და შეთამაშებაა ძნელი, ჩვენები კი 17-18 წლისანი, გამოუცდელები არიან და იმიტომ გვაქვს ცუდი შედეგი. მთავარია, რომ ეს გუნდი კადრებს გვიმზადებს და მის წევრებს, ორსამ კაცს, პირველ ჯგუფში. რეგულარულად ვათამაშებთ შეცვლებზე. მათი თამაშით კმაყოფილიც ვართ.

**— წელს „მერანმა" „თქვენი ადგილი" დაიკავა თბილისელ გულშემატკივრებში. არ გმუხტავთ კონკურენცია?**

— როგორ არა. კონკურენცია თუ არ იქნა, ჩემპიონატსაც არა აქვს აზრი. რაც შეეხება „მერანს", მან სხვა გზა ირჩია. ჩვენ კი უფრო შორს ვიხედებით და მეტწილად დებიუტანტებით დავკომპლექტდით. 2-3 წელიწადში, ვფიქრობ, არა მარტო „მერანს", არამედ სხვა ძლიერ გუნდებს გავეჯიბროთ. შედეგი რომ გვექნება, გულშემატკივარიც მოგვემატება.




### მოთამაშე

## კოტე მელქაძე: სხვა საზომით ვზომავ

**— I წრეში შენს თამაშს როგორ შეაფასებ?**

— ჩემი თამაშით არც მე ვარ კმაყოფილი. სუსტად ჩავატარე I წრე. რისი ბრალია? ალბათ, მომზადების.

**— სეზონის წინ „ოდიშში" გადასვლის შანსი გქონდა. რატომ არ მოხერხდა ეს და რამ შეგიშალა ხელი მომზადებაში?**

— ვერ შევთანხმდით. უფრო მათ არ ისურვეს, თორემ მეც და ჩვენი ხელმძღვანელობაც მზად ვიყავით საამისოდ. „ოდიშიდან" არ იყო ინიციატივა იმ დონეზე, რომ ჩემი გადასვლა შემდგარიყო.

**— ახლა, როცა შენი გუნდის თამაშიც იცი და „ოდიშიც" ნახე, ხომ არ ფიქრობ, რომ ზუგდიდში წასვლა შენთვის უარესი იქნებოდა?**

— არა მგონია. შეიძლება, ცოტათი უკეთესი ან ცოტათი უარესი ყოფილიყო.

**— თვითონ „შევარდენის" გამოსვლას როგორ შეაფასებდი?**

— დამაკმაყოფილებელია ამ გამოუცდელი, ახალგაზრდა ბიჭებისთვის.

**— როგორც უფრო გამოცდილს და მეტის მნახველს, თანაც გუნდის კაპიტანს, მეტი გევალება. ამ საზომით ხომ არ ზომავ, შენს თამაშს რომ იწუნებ?**

— რა თქმა უნდა. მეტის გაკეთება შემეძლო. ჯერ გუნდთან შეწყობა იყო საქმე, ამას ჩემი პრობლემებიც დაერთო. ახლა ყველაფერი მოწესრიგდა.

**— რამდენჯერმე ადგილი მოგინაცვლეს. თავიდან ლიბეროობდი, მერე საჭირო გახდა, რომ საყრდენადაც გეთამაშა. სად გერჩივნა?**

— მე მაინც მგონია, დაცვაში. სხვაგანაც მითამაშია, მაგრამ, ვფიქრობ, დაცვაში უფრო გამოვადგები გუნდს.

**— როგორც გიცნობ, შენი საფეხბურთო აზროვნებით მოედნის ცენტრშიც შეგიძლია თამაში. მომზადება ნაკლები არც ერთს სჭირდება. გამოდის, დაცვაში პირადად შენ გირჩევნია...**

— შეიძლება ასე ითქვას.

**— სეზონის წინ ახალ პარტნიორებთან შეგუება მაინცდამაინც არ გაგჭირვებია. შენთვის ნაცნობი მწვრთნელის, ელგუჯა ხუციშვილის მოსვლით რა შეიცვალა შენთვის და გუნდისთვის?**

— სამივე ძველი ფეხბურთელი თავიდანვე კარგად შევეგუეთ ახალმოსულებს, მეც, სიდამონიძეც და მინდიაშვილიც, თუმცა, მინდიაშვილს ჰქონდა მწვრთნელებთან პრობლემები. ახალი მწვრთნელის დანიშვნისთანავე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. მე მგონი, ბიჭებმა უფრო გააზრებულად ითამაშეს, ვიდრე მანამდე.

**— ჩვენს ჩემპიონატში იშვიათია დამუშავებული საჯარიმო ან შორეული დარტყმები. შენც ცდილობდი და ვერ იტყვი, რომ ათიდან ცხრა გაგქონდა, მაგრამ... საგანგებოდ ვარჯიშობთ თუ როგორც კაპიტანს გავალებენ?**

— ხანდახან დავალებითაც ვურტყამ. უმეტესად კი ვარჯიშის შემდეგ ვრჩებით და მეკარეებს ვეჯიბრებით. ალბათ ისიცაა, რომ მე უფრო მანდობენ დარტყმას, მაგრამ ფოთში სულაც პენალტი გავაფუჭე.

**— ახალი რა არის ამ ჩემპიონატში?**

— სიახლე, ალბათ, „მერანია". ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. რომ იტყვიან, ორი დღის შექმნილი გუნდია, მაგრამ კარგის მეტს ვერ იტყვი გუნდზეც და მწვრთნელზეც. სხვებს კი ვიცნობდი...

**— ხომ არ გწყდება გული, რომ ის, რაც თქვენ უნდა გაგეკეთებინათ, „მერანმა" შეძლო?**

— არა. გული რატომ უნდა დამწყდეს? პირიქით, უფრო სასიხარულოა — რაც მეტი იქნება ასეთი გუნდები, ჩემპიონატიც უკეთესი გვექნება და მიღწევებიც.

რაც შეეხება ჩვენს გუნდს, მგონია, რომ მეორე წრეში ჯგუფში დარჩენა არ გაგვიძნელდება. ვიბრძოლებთ, რაც შეიძლება წინ რომ წავიწიოთ. ამისთვის ძალღონეს არ დავიშურებთ.

# ზამერი ევროპის მეფეა!

ეროვნული ბიბლიოთეკა




## 1996 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელთა ათეული

1. მათიას ზამერი — გერმანია, დორტმუნდის „ბორუსია“ 144
2. რონალდო — ბრაზილია, „ეინდჰოვენი“ და „ბარსელონა“ 141
3. ალან შირერი — ინგლისი, „ბლექბერნი“ და „ნიუკასლი“ 109
4. ალესანდრო დელ პიერო — იტალია, „იუვენტუსი“ 65
5. იურგენ კლინსმანი — გერმანია, „ბაიერნი“ 60
6. დავორ შუკერი — ხორვატია, „სევილია“ და „რეალი“ 38
7. ერიკ კანტონა — საფრანგეთი, „მანჩესტერ იუნაიტედი“ 24
8. მარსელ დესაი — საფრანგეთი, „მილანი“ 22
9. იური ჯორკაეფი — საფრანგეთი, „პსჟ“ და „მილანი“ 20
10. ჯორჯ ვეა — ლიბერია, „მილანი“ 17

მაშ ასე, „ფრანს ფუტბოლის“ 41-ე გამოკითხვამ 1996 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად დორტმუნდის „ბორუსიისა“ და გერმანიის ნაკრების მცველი მათიას ზამერი დაასახელა. კონტინენტის საფეხბურთო მწერალთა რეფერენდუმში 51 ქვეყნის ჟურნალმა თუ გაზეთმა მიიღო მონაწილეობა. მათ წლეულს მეორედ ჰქონდათ ევროპაში მოთამაშე არაევროპელთათვის ხმის მიცემის საშუალება. შარშან, „ფრანს ფუტბოლის“ მიერ ამ საკამათო წესის შემოღებისთანავე უძლიერესი ევროპელი აფრიკელი გახდა: ყველას ლიბერიელმა ჟორჟ ვეამ აჯობა. წლეულსაც კინაღამ ოკეანისგაღმელმა მიიღო ჯილდო. „ბარსელონას“ ბრაზილიელმა თავდამსხმელმა რონალდომ 141 ქულა დააგროვა და ზამერს მხოლოდ სამით ჩამორჩა. მართლაცდა ბედის ოინებია: თუნდაც მხოლოდ „სარბიელს“ ხუთი საუკეთესოს მისეულ ვარიანტში ამ ორი ფეხბურთელისთვის ადგილი რომ გაეცვალა, დღეს „ოქროს ბურთი“ რონალდოს დაამშვენებდა.

ქულათა დარიცხვის წესი „ფრანს ფუტბოლს“ ასეთი აქვს: პირველი ადგილი ხუთი ქულაა, მეორე — ოთხი, მესამე — სამი, მეოთხე — ორი და მეხუთე — ერთი. რეფერენდუმის თითოეული მონაწილე ხუთეულის თავის ვერსიას აგზავნის.

წლევანდელმა გამოკითხვამ რამდენიმე საინტერესო მომენტი გამოაჩინა. მაგალითად, მეორეზე გასული რონალდო პირველ ადგილზე 16-მა გამოცემამ დაასახელა, პირველზე გასული ზამერი კი ნაკლებმა — 13-მა. რონალდო ხუთეულში საერთოდ არ დაასახელა 12-მა, ზამერი კი მეტმა, 16-მა. სამაგიეროდ, მეორე ადგილზე გერმანელი 13-ჯერ დაიყვანეს, ბრაზილიელი 8-ჯერ, მესამეზეც ზამერის უპირატესობაა (ექვსი სამის წილ), უფრო დაბალი ადგილისთვის კი ზამერი მხოლოდ უნგრელმა ჟურნალისტებმა გაიმეტეს, რონალდო კი ექვსმა მეოთხედ ჩაწერა, ხუთმა — მეხუთედ.

საინტერესოა, რომ საუკეთესო ხუთეული მხოლოდ ალბანელმა და ლიტველმა ჟურნალისტებმა გამოიცნეს, ისიც არეული თანმიმდევრობით. შვიდმა ქვეყანამ კი პირველი ადგილი იმ ფეხბურთელებს მიაკუთვნა, ხუთეულში საერთოდ რომ ვერ მოხვდნენ. ამათგან თუკი სომეხთა, ხორვატთა და შვეიცარიელთა არჩევანი ასე თუ ისე გასაგებია (ჯორკაეფს დედა სომეხი ჰყავს, ბოკშიჩი ხორვატია, თურქი თურქილმაზი კი შვეიცარიის მოქალაქეა და იქაურ კლუბსა და ნაკრებში თამაშობს), დანარჩენ ოთხეულს „სარბიელისგან“ აშკარად განსხვავებული ხედვა აქვს. მათგან ჩვენთვის ყველაზე გასაგები არჩევანი ბოსნიელებს აქვთ — ბატისტუტა. ლიხტენშტაინმა შუკერი არჩია, ლუქსემბურგმა — დეშამპი, ნორვეგიამ — დესაი.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ავსტრია | რონალდო | კეპკე | პობორსკი | შირერი | ივანოვი |
| აზერბაიჯანი | შირერი | ზამერი | შუკერი | კანტონა | დელ პიერო |
| ალბანეთი | ზამერი | რონალდო | დელ პიერო | შირერი | კლინსმანი |
| ანდორა | რონალდო | დელ პიერო | ზამერი | კანუ | მიატოვიჩი |
| ბელარუსი | ზამერი | რონალდო | შირერი | კანუ | კლინსმანი |
| ბელგია | ზამერი | ჯორკაეფი | შირერი | ბეიბლი | კეპკე |
| ბოსნია | ბატისტუტა | დელ პიერო | მალდინი | რონალდო | ვეა |
| ბულგარეთი | ზამერი | შირერი | კლინსმანი | დელ პიერო | ივანოვი |
| გერმანია | კლინსმანი | ზამერი | დესაი | რონალდო | დელ პიერო |
| დანია | რონალდო | ზამერი | კეპკე | შირერი | სერხიო |
| ესპანეთი | რონალდო | დელ პიერო | კლინსმანი | კანუ | რაული |
| ესტონეთი | რონალდო | ზამერი | შირერი | შუკერი | კლინსმანი |
| თურქეთი | რონალდო | რავანელი | დელ პიერო | კლინსმანი | კანუ |
| ინგლისი | შირერი | რონალდო | ზამერი | ვეა | შუკერი |
| ირლანდია | ზამერი | შირერი | დესაი | კლინსმანი | ვეა |
| ისლანდია | ზამერი | კანტონა | ბოკშიჩი | ვეა | შირერი |
| ისრაელი | რონალდო | ზამერი | შუკერი | დესაი | ვეა |
| იტალია | დელ პიერო | კლინსმანი | რონალდო | კანუ | ბატისტუტა |
| იუგოსლავია | რონალდო | შირერი | ზამერი | მიატოვიჩი | დესაი |
| კვიპროსი | დელ პიერო | ზამერი | რონალდო | ჯორკაეფი | ბოკშიჩი |
| ლატვია | რონალდო | შირერი | კლინსმანი | შუკერი | პობორსკი |
| ლიტვა | კლინსმანი | დელ პიერო | ზამერი | რონალდო | შირერი |
| ლიხტენშტაინი | შუკერი | ზამერი | დელ პიერო | შირერი | კეპკე |
| ლუქსემბურგი | დეშამპი | ზამერი | კანტონა | შირერი | რონალდო |
| მაკედონია | რონალდო | მიატოვიჩი | ციგე | ჯორკაეფი | შუკერი |
| მალტა | რონალდო | დელ პიერო | რაული | შუკერი | ზიდანი |
| მოლდოვა | კლინსმანი | პობორსკი | შუკერი | კანტონა | რავანელი |
| ნორვეგია | დესაი | რონალდო | ვეა | შირერი | შუკერი |
| პოლონეთი | ზამერი | შირერი | პობორსკი | დესაი | კლინსმანი |
| პორტუგალია | ზამერი | შირერი | დელ პიერო | რუი კოშტა | რონალდო |
| რუმინეთი | რონალდო | ზამერი | შირერი | დელ პიერო | ჯორკაეფი |
| რუსეთი | ზამერი | შირერი | რონალდო | კლინსმანი | შუკერი |
| საბერძნეთი | კლინსმანი | ზამერი | დელ პიერო | რონალდო | კეპკე |
| სან მარინო | ზამერი | რავანელი | კანუ | დესაი | რონალდო |
| საფრანგეთი | ზამერი | დელ პიერო | რონალდო | კლინსმანი | დეშამპი |
| საქართველო | შირერი | ზამერი | ბატისტუტა | კლინსმანი | რონალდო |
| სლოვაკეთი | შირერი | რონალდო | კლინსმანი | მიატოვიჩი | ბერგერი |
| სლოვენია | დელ პიერო | რონალდო | კლინსმანი | ჯორკაეფი | კანტონა |
| სომხეთი | ჯორკაეფი | ზამერი | შირერი | კლინსმანი | რონალდო |
| უელსი | ზამერი | სიმენი | დესაი | კანუ | შუკერი |
| უკრაინა | ზამერი | ჯორკაეფი | შირერი | რონალდო | დესაი |
| უნგრეთი | შირერი | რონალდო | შუკერი | კანტონა | ზამერი |
| ფარერები | რონალდო | ზამერი | შირერი | კეპკე | ივანოვი |
| ფინეთი | რონალდო | ზამერი | შირერი | ბატისტუტა | ვეა |
| შვედეთი | რონალდო | კანტონა | ზამერი | შუკერი | ვეა |
| შვეიცარია | თურქილმაზი | კანტონა | შუკერი | დელ პიერო | ფიგუ |
| შოტლანდია | შირერი | რონალდო | ზამერი | დეშამპი | ბ. ლაუდრუპი |
| ჩეხეთი | კლინსმანი | პობორსკი | შირერი | ბერგერი | შუკერი |
| ჩრდ. ირლანდია | დელ პიერო | რონალდო | ბოკშიჩი | შირერი | ვეა |
| ხორვატია | ბოკშიჩი | ზამერი | შირერი | კანტონა | ბატისტუტა |
| ჰოლანდია | რონალდო | შუკერი | შირერი | დელ პიერო | რ. დე ბური |




### მათიას ზამერი

დაიბადა 1967 წლის 5 სექტემბერს დრეზდენში.

კლუბები: დრეზდენის „დინამო“ 1990 წლამდე, „შტუტგარტი“ 1990-92, „ინტერი“ (იტალია) 1992-93, 1993 წლიდან დორტმუნდის „ბორუსიაშია“.

ნაკრები: გდრ (23 თამაში, 6 გოლი), გერმანია (48 თამაში, 5 გოლი).

მიღწევები: გდრ-ს ჩემპიონი — 1989, 1990; გერმანიის ჩემპიონი — 1992, 1996; გდრ-ს თასის მფლობელი — 1990; ევროპის ჩემპიონი — 1996, ევროპის ვიცე-ჩემპიონი — 1992; 1995 წლის გერმანიის საუკეთესო ფეხბურთელი.

მეუღლე: კარინ რუკერი (28 წლის), იქორწინეს 1993 წელს.

შვილები: სარა (4 წლის) და მარვინ-მათიასი (1 წლის).

მშობლები: მამა — კლაუს ზამერი (ფეხბურთის მწვრთნელი) და დედა დორტი.

და: კატრინ ზამერი.

განათლება: ზეინკალი.

**საყვარელი საჭმელი: პასტა.**

**საყვარელი სასმელი: მინერალური წყალი.**

— როცა სავარძელში ჩავეშვები და საკუთარ თავს ტელევიზორში ვხედავ, ვფიქრობ „ღმერთო ჩემო, მე გიჟი ვარ“. მაშინ ვუგებ იმ ხალხს, ვინც ამბობს, ზამერი შექანებულიაო.

ვილი ანტენმანი მათიას ზამერს „შტუტგარტში“ წვრთნიდა:

— ზამერი გიჟია. მას არ ესმის თავის დაზოგვა რას ნიშნავს. თუნდაც ვარჯიშზე, როდესაც აგებს, გონს ბინდი ეფარება და მოსაგებად ლამისაა თავი დასდოს.

„დორტმუნდში“ ზამერს ოტმარ ჰიცფელდი ხელმძღვანელობს:

— ზამერი ფეხბურთისთვის ცხოვრობს. ეს მოთამაშე მოგების შემდეგ აღფრთოვანებას უეცრად სძლევს ხოლმე და მომავალ მატჩზე იწყებს ფიქრს. იგი მე სხვებზე მეტად მჭირდება.

„დორტმუნდმა“ გერმანიის ჩემპიონობა რომ მოიპოვა, საზეიმო ბანკეტზე ჰიცფელდმა მისი და ზამერის ოჯახებისთვის განკუთვნილი მაგიდების შეერთება ინება.

საათნახევრის განმავლობაში წითური ფეხბურთელი არც თავს ინდობს და არც მოწინააღმდეგეს. ღმერთმა ნუ ქნას, მისმა ახალგაზრდა თანაგუნდელმა ეს თავგანწირვა მაგალითად არ დაიდოს. რამდენჯერ უნახავთ, მატჩის შემდეგ როგორ ყრის ზამერი ცოფებს.

საქსონიაში დაბადებული კაცი პირველი აღმოსავლეთ გერმანელი ჩემპიონია, ვინც გაერთიანებული გერმანიის ოქროც მოიპოვა. ახლა კი იგი ქვეყნის კომუნისტურ ნაწილში დაბადებულთაგან პირველი ევროპის საუკეთესოცაა.

თქვა კიდევაც ზამერმა „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში, ჩემი მაგალითი, იმედი მაქვს, სხვა გდრ-ელებს შეაგულიანებსო.

— ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელება ჩემთვის სრული მოულოდნელობა გახლდათ — უთხრა ზამერმა იმავე „ბილდს“ — მე ამას არ ველოდი. მართალია, ევროპის პირველობამ სახელი გამითქვა, მაგრამ ამ სეზონში ხომ შვიდი კვირა დაშავებული ვიყავი.

— სრულყოფილი სრულებითაც არ ვარ — განაგრძობს გერმანელი — თანმიმდევრულობა მაკლია. იმედი მაქვს ოდესმე შევძლებ სეზონისთვის კარგად მომზადებას, ტრავმამ ვარჯიში რომ არ გამაცდენინოს და მუდმივად მოედანზე ვიყო. მოთამაშე საუკეთესო ფორმაში მაშინაა, როცა რიტმს მისდევს. არ უნდა იყო დარწმუნებული, რომ მწვერვალს მიაღწევ. თვითკრიტიკა წარმატების საწინდარია, ნებისმიერი მიღწევა კი დაუღალავ შრომას მოსდევს.

მათიას ზამერი მეხუთე გერმანელია, რომელმაც ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის წოდება მოიპოვა. მისი წინამორბედნი იყვნენ გერდ მიულერი (1970), ფრანც ბეკენბაუერი (1972, 1976), კარლ ჰაინც რუმენიგე (1980, 1981) და ლოთარ მათეუსი (1990). თანაც ზამერი ევროპის საუკეთესოდ საიუბილეო წელს სცნეს, კონტინენტის ჟურნალისტთა პირველი რეფერენდუმი ხომ 1956 წელს მოეწყო, ზუსტად ორმოცი წლის წინათ.

— ჯილდო მსურს დორტმუნდის „ბორუსიას“ და გერმანიის ეროვნულ გუნდს გავუნაწილო. საუკეთესო სახით სწორედ მათი კარგი თამაშის გამო წარვსდექი — თქვა მათიასმა საფრანგეთის ტელევიზიაში მოწყობილ მცირე ცერემონიალზე.

— გულწრფელად გეტყვით, მინდოდა საუკეთესოთა ხუთეულში მოვხვედრილიყავი.

და ისევ:

— გდრ-ში იყვნენ უნიჭიერესი ფეხბურთელები, მაგრამ განვითარების საშუალება არ გვეძლეოდა.

დღეს, როდესაც ევროპის საუკეთესო გერმანელი მცველი გახდა, მსოფლიოს ფრანც ბეკენბაუერის ფეხბურთელობის ხანა გაახსენდა. ზამერს ხომ ისედაც ადარებდნენ „კაიზერს“. ორივე მცველი იყო, ხშირად შეტევის წამომწყები და დამაგვირგვინებელიც კი.

— ის ამ ამპლუაში ჩინებულია — თქვა ბეკენბაუერმა — საუცხოო ინსტინქტი აქვს, საჭირო დროს საჭირო გადაწყვეტილებებს იღებს.

**ინგლისის** ახლანდელ ჩემპიონატში შესაძლოა პირველად ითამაშოს ენდი კოულმა, რომელიც „იუნაიტედის“ სარეზერვო გუნდში ძლიერად ათამაშდა. კოული ზაფხულში პნევმონიით დაავადდა, შემდეგ მძიმედაც დაშავდა, ფორმიდან ამოვარდა და ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა.

**ბელგიის** ნაკრებისა და „ანდერლეხტის“ ფორვარდმა ჟილ დე ბილდემ ორშაბათ ღამეს ციხეში ამოჰყო თავი. მან მეტოქეს სახეში უთავაზა, ცხვირი გაუტეხა და თვალი დაუზიანა. კვირის მატჩში დე ბილდეს მიერ გალახული ეს უბედური „აალსტის“ ფეხბურთელი კრის პორტე გახლდათ. ინციდენტის ვიდეოჩანაწერი ბელგიის ტელევიზიითაც გადაიცა. „ანდერლეხტის“ წარმომადგენელთა თქმით, ფეხბურთელი დისკვალიფიკაციით დაისჯება, ასევე მოიქცა ბელგიის ფეხბურთის ფედერაციაც. დე ბილდესთვის ამგვარი უსაქციელობა ახალი არაა. 1992 წელს იგი ორწლიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. „ანდერლეხტის“ მწვრთნელმა დე ბილდეს ფსიქიატრის ნახვა ურჩია.

**ინგლისის** „ნიუკასლის“ ფორვარდს ალან შირერს მომავალ ტურში „მშობლიურ“ „ბლექბერნში“ მოუწევს ჩასვლა. მან სწორედ „ბლექბერნ როვერსში“ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონობა, აქ გაიტანა გოლთა უმრავლესობა. ქალაქში მას დიდი პატივით კი შეხვდებიან, მაგრამ „ბლექბერნის“ შოტლანდიელმა მცველმა კოლინ ჰენდრიმ დაიქადნა, მატჩის პირველივე წუთიდან არ გავახარებ მაგ თქვენ შირერსო. „ფეხბურთში უკან ვერ დაბრუნდები. ბლექბერნში დაუვიწყარი წელი გავატარე, ბევრი პრიზიც მოვიპოვე, უამრავი ამხანაგი შევიძინე, თუმცა მაინც წასვლამ მომიწია. ადამიანმა მომავლის იმედით უნდა იცხოვრო“ — განაცხადა შირერმა.

**იტალიის** ჩემპიონატის ბოლო ტურში „პარმას“ წინააღმდეგ თამაშისას მძიმედ დაშავდნენ მილანელები — ჟორჟ ვეა და პაოლო მალდინი. ვარაუდობენ, რომ ვეა „მილანს“ 30-45 დღით გამოაკლდება, მალდინი კი ერთი თვით.

**ინგლისური** „ევერტონის“ მცველი მეტიუ ჯეკსონი პირველი დივიზიონის „ნორვიჩში“ გადავიდა. ქვედალიგელებმა 450 000 გირვანქა გადაიხადეს. „ნორვიჩს“ სურს გაიძლიეროს დაცვა, რომელმაც ბოლო ორ მატჩში 11 გოლი გაუშვა.

**რუმინეთის** ნაკრებისა და „ვესტ ჰემის“ ნახევარმცველი ილიე დუმიტრესკუ 1 მილიონ გირვანქად მექსიკურ „ამერიკა სიუდადში“ გადავიდა. რუმინეთის საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, დუმიტრესკუ რამდენიმე დღეში შეუერთდება ოკეანისგაღმელთა კლუბს.

**ავსტრალიის** ფეხბურთის ასოციაციამ განაცხადება შეიტანა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობაზე. მოგეხსენებათ, ავსტრალია 2000 წლის ოლიმპიადას მასპინძლობს, ჰოდა, მადა ჭამაში მოდისო და, მწვანე კონტინენტს ახლა ფეხბურთელთა ტურნირის მასპინძლობაც უსურვებია. მსოფლიოს ჩემპიონატის გამასპინძლების სხვა მსურველები არიან გერმანია, ინგლისი, სამხრეთ აფრიკა, არგენტინა და ავსტრალია. ფიფას გენერალურმა მდივანმა იოზეფ ბლატერმა განაცხადა, რომ ავსტრალიელებს თანხმობის მიღების დიდი შანსი აქვთ, თუმცა ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევიაო.

**კოლუმბიის** ქალაქ მედელინში ორი უცნობი თავს დაესხა ქვეყნის ნაკრების მეკარეს რენე იგიტას სახლს. ნატყორცნმა ხელყუმბარამ ბინის ფანჯრების მინები ჩალეწა. საბედნიეროდ, ფეხბურთელი და მისი ოჯახობა ამ დროს შინ არ იმყოფებოდა. ქალაქის პოლიციის შეფმა განაცხადა, რომ ჯერ ვერ დაადგინეს დამნაშავეთა ვინაობა, თუმცა ყველაფერს იღონებენ მათ დასაკავებლად. თავად იგიტა მომხდარით ძალზე გაკვირვებული დარჩა, არ მეგონა, თუ ვინმეს ასე ვეჯავრებოდიო.

**გერმანიის** ბუნდესლიგაში მოთამაშე ბრაზილიელმა ჯოვანი ელბერმა, ვინც „შტუტგარტის“ ღირსებას იცავს და ბომბარდირთა დავაში 10 ბურთით მესამეა, განაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს კონტრაქტის დამთავრების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდეს. კლუბმა მას კონტრაქტის გაგრძელება კი შესთავაზა, მაგრამ ფეხბურთელი უარზეა — სამშობლო მომენატრაო.

**ინგლისელი** გევინ პიკოკი პრემიერლიგის „ჩელსიდან“ ქვედალიგელ „ქუინზ პარკში“ გადაბარგდა. მან ახალ კლუბთან სამწლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის თანახმად ამ დროის მანძილზე 800 ათას გირვანქას მიიღებს. ამ თანხის რაოდენობა გაიზრდება იმ შემთხვევაში, თუ პიკოკი ახალ გუნდში გარკვეული რაოდენობის მატჩებს ჩაატარებს. პიკოკი „ჩელსის“ კაპიტანი იყო, 1994 წელს ინგლისის თასის ფინალშიც ითამაშა, ახალი მოთამაშე-მწვრთნელის რუუდ გულიტის ხელში კი სკამზე ჯდომა მოუხდა.

## ფეხბურთის რუკასთან



**ბულგარეთის** ნაკრებისა და მარსელის „ოლიმპიკის“ მოთამაშემ იორდან ლეჩკოვმა განაცხადა, რომ იგი ნაკრებში პირადი მიზეზების გამო აღარ ითამაშებს. „ნაკრებს ბოიკოტს არ ვუცხადებ. უბრალოდ, გარკვეულ მიზეზთა გამო ასე გადავწყვიტე“ — თქვა მან. ახლახან ნაკრების მწვრთნელმა ხრისტო ბონევმა ლეჩკოვი არ შეიყვანა კვიპროსთან მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩისთვის მოსამზადებელ ფეხბურთელთა სიაში. ბონევი და ლეჩკოვი პრესითა თუ ტელევიზიით ერთმანეთს ხშირად აკრიტიკებდნენ. ლეჩკოვი ბულგარელთა ნაკრების კიდევ ერთი წევრია, ვინც ამ გუნდში თამაშზე უარი განაცხადა. მანამდე სტოიჩკოვმა და პენევმა უყარეს ქოში ნაკრებს.

**სამხრეთ აფრიკაში** მიმდინარე კონტინენტის ახალგაზრდული გუნდების პირველობა მოულოდნელობის გარეშე მიმდინარეობს. მასპინძლებმა 3:0 დაამარცხეს ტანზანია, დანარჩენი შეხვედრები კი ასე დასრულდა: ეგვიპტე — ზიმბაბვე 2:1, ბურკინა ფასო — განა 1:1, კამერუნი — კოტ დივუარი 3:5, ნიგერია — სუდანი 2:1, ალჟირი — მალი 2:3, ზამბია — ანგოლა 1:0.

**შოტლანდიურმა** „კილმარნოკმა“ სარეზერვო გუნდის მწვრთნელი ბობი ვილიამსონი მთავარ მწვრთნელად დანიშნა. ვილიამსონი კლუბს 3 დეკემბერს ჩაუდგა სათავეში ალექს ტოტენის ნაცვლად, თუმცა თანამდებობაზე ოფიციალურად ახლაღა დამტკიცდა. ახალი მწვრთნელის მთავარი მიზანი გუნდის რჩეულთა შორის დატოვებაა. კლუბი ახლა ბოლოდან მეორე ადგილზეა.

**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაციამ პასუხი მოსთხოვა „ნოტინგემ“ — „არსენალის“ (2:1) მატჩის მსაჯებს ლონდონელი იან რაიტის გაძევებისთვის. ვიდეოფირზე აშკარად ჩანს, რომ ნიკოლა იერკანთან შეჯახებისას ფეხბურთელი გაძევებას არ იმსახურებდა. ამ შეხვედრის არბიტრმა სტეფან ლოჯმა განაცხადა, რომ მას არ დაუნახავს წესების დარღვევა, მისმა თანაშემწემ ჯონ ჰოლბრუკმა კი იგი დააფიქსირა.

**უნგრელ** გულშემატკივრებს BBC-იმ საახალწლო სიურპრიზი მოუმზადა. ამ კომპანიამ განაცხადა, რომ უნგრეთის ტელევიზიით აჩვენებენ 1953 წლის ინგლის — უნგრეთის მატჩს, რომელიც სტუმართა ბრწყინვალე გამარჯვებით 6:3 დასრულდა. ინგლისელებმა ეს მატჩი „საუკუნის შეხვედრად“ მონათლეს. მაშინ მათ პირველად იწვნიეს მარცხი შინ, მსოფლიომ კი გაიცნო ფეხბურთის დიდი ვარსკვლავები ფერენც პუშკაში და ნანდორ ჰიდეგკუტი. „ჩვენ გვსურს უნგრელებს ვანახოთ ამ ისტორიული მატჩის ფრაგმენტები. იმ დროს უნგრეთს ტელევიზია არ ჰქონდა და ამიტომ უნგრელებმა ეს მატჩი ვერ ნახეს. ვფიქრობ, მათ ძალზე გავახარებთ“ — განაცხადა ბრიტანეთის ელჩმა უნგრეთში ქრისტოფერ ლონგმა.

**სამხრეთ აფრიკის** ნაკრებში, რომელიც ზამბიას ეთამაშება მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს, ვერ მოხვდა გასული წლის საუკეთესო მოთამაშე დოქტორ ხუმალო. 29 წლის ნახევარმცველი აშშ-ის ჩემპიონატში თამაშობდა, მაგრამ მამის სიკვდილის შემდეგ მისი ცხოვრება და საქმეები სულ უკან წავიდა. დოქტორის პოპულარობა, როცა სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა კონტინენტის პირველობა მოიგო, მხოლოდ მარკ ფიშის თუ ჩამოუვარდებოდა. ნაკრების მწვრთნელმა კლაივ ბარკერმა გუნდში ვეტერანი ფორვარდი მარკ ვილიამსი მოიწვია, ვინაც კონტინენტის პირველობის ფინალურ მატჩში ტუნისს ორი გოლი გაუტანა, ახლა კი ბრაზილიაში, „კორინთიანსში“ თამაშობს.

**ბრაზილიის** ქალაქ კაბო ფრიოს პლაჟზე პოლიციამ დააკავა რომარიო, რომელმაც იქ თამაშისას ჩხუბი ატეხა და უშვერად იგინა. ერთმა პლაჟზე მყოფმა პოლიციელებს ისაც განუცხადა, რომ რომარიომ მას გაარტყა. პოლიციამაც ფეხბურთელი თავისთან „მიიპატიჟა“. რომარიო ახლა არდადეგებზეა, მისი „ფლამენგო“ „კრისიუმამ“ გამოაგდო ბრაზილიის ჩემპიონატიდან, მანაც მას შემდეგ მხოლოდ ერთი მატჩი ითამაშა.

**ჩეხეთის** საუკეთესო ფეხბურთელებად დაასახელეს „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველი კარელ პობორსკი და „ლივერპულის“ ფორვარდი პატრიკ ბერგერი. ორივე მათგანმა ძლიერად ითამაშა ევროპის ჩემპიონატზე, გამოკითხვაშიც ხმების თანაბარი ოდენობა დააგროვეს და ჩეხეთში საუკეთესოს ტიტულიც ორივეს არგუნეს.

**შოტლანდიელი** კენი დალგლიში, საფეხბურთო კარიერის პირველი წლები გლაზგოს „სელტიკში“ რომ გაატარა, ახლა ამის მტრის, ქვეყნის ჩემპიონ „რეინჯერზის“ მთავარ სელექციონერად დაინიშნა. მას დაევალა კლუბის მთავარ მწვრთნელ უოლტერ სმიტისთვის მოთამაშეების შერჩევა.

### ესპანეთი

მე-17 ტურის ბოლო მატჩი. ვალენსია — ერკულესი 3:0 (ვლაოვიჩი 12, ფრანსისკო 43, ლოპესი 64)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 17 | 11 | 6 | 0 | 34:13 | 39 |
| ბარსელონა | 17 | 11 | 4 | 2 | 47:21 | 37 |
| დეპორტივო | 17 | 10 | 7 | 0 | 25:8 | 37 |
| ბეტისი | 17 | 10 | 5 | 2 | 36:14 | 35 |
| ატლეტიკო | 17 | 8 | 5 | 4 | 29:20 | 29 |
| სოსიედადი | 17 | 8 | 4 | 5 | 24:21 | 28 |
| ბილბაო | 17 | 7 | 6 | 4 | 29:23 | 27 |
| ვალიადოლიდი | 17 | 7 | 5 | 5 | 21:20 | 26 |
| ტენერიფე | 17 | 7 | 4 | 6 | 31:19 | 25 |
| რასინგი | 17 | 6 | 7 | 4 | 18:17 | 25 |
| ვალენსია | 17 | 7 | 2 | 8 | 26:23 | 23 |
| რაიო | 17 | 6 | 5 | 6 | 23:20 | 23 |
| სელტა | 17 | 6 | 5 | 6 | 19:19 | 23 |
| ესპანიოლი | 17 | 5 | 4 | 8 | 21:25 | 19 |
| ოვიედო | 17 | 5 | 4 | 8 | 20:24 | 19 |
| სპორტინგი | 17 | 4 | 5 | 8 | 17:23 | 17 |
| კომპოსტელა | 17 | 4 | 4 | 9 | 14:31 | 16 |
| ლოგრონიესი | 17 | 4 | 3 | 10 | 12:40 | 15 |
| სარაგოსა | 17 | 2 | 8 | 7 | 18:28 | 14 |
| სევილია | 17 | 4 | 2 | 11 | 13:26 | 14 |
| ერკულესი | 17 | 3 | 2 | 12 | 14:32 | 11 |
| ესტრემადურა | 17 | 1 | 5 | 11 | 9:31 | 8 |

### საბერძნეთი

მე-13 ტური. ოლიმპიაკოსი — პაოკი 1:0; პანილიაკოსი — აპოლონი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 13 | 10 | 2 | 1 | 23:5 | 32 |
| პანათინაიკოსი | 13 | 9 | 2 | 2 | 28:7 | 29 |
| ოფი | 13 | 9 | 2 | 2 | 20:9 | 29 |
| აეკ | 13 | 8 | 2 | 3 | 31:13 | 26 |
| პანილიაკოსი | 13 | 7 | 3 | 3 | 19:15 | 24 |
| კავალა | 13 | 6 | 4 | 3 | 14:7 | 22 |
| პანახაიკი | 13 | 5 | 5 | 3 | 14:11 | 20 |
| ვერია | 13 | 5 | 4 | 4 | 14:10 | 19 |
| კალამატა | 13 | 4 | 6 | 3 | 15:19 | 18 |
| იონიკოსი | 13 | 4 | 3 | 6 | 12:12 | 15 |
| პაოკი | 13 | 3 | 6 | 4 | 8:13 | 15 |
| ქსანტი | 13 | 3 | 4 | 6 | 15:20 | 13 |
| არისი | 13 | 3 | 4 | 6 | 13:21 | 13 |
| აპოლონი | 13 | 3 | 2 | 8 | 13:22 | 11 |
| ედესაიკოსი | 13 | 2 | 4 | 7 | 12:19 | 10 |
| ირაკლისი | 13 | 2 | 3 | 8 | 9:24 | 9 |
| ათინაიკოსი | 13 | 2 | 3 | 8 | 8:25 | 9 |
| კასტორია | 13 | 1 | 3 | 9 | 7:23 | 6 |

### თურქეთი

მე-17 ტური. ბეშიქთაში — ანკარაგიუჯიუ 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 17 | 14 | 2 | 1 | 50:15 | 44 |
| ფენერბაჰჩე | 17 | 12 | 3 | 2 | 36:10 | 39 |
| ტრაბზონი | 17 | 12 | 2 | 3 | 31:15 | 38 |
| ბეშიქთაში | 17 | 11 | 4 | 2 | 43:12 | 37 |
| გაზიანთეფი | 17 | 9 | 5 | 3 | 20:14 | 32 |
| ბურსა | 17 | 9 | 3 | 5 | 26:16 | 30 |
| ქოჯაელი | 17 | 8 | 3 | 6 | 21:18 | 27 |
| ისთანბული | 17 | 6 | 4 | 7 | 21:23 | 22 |
| სამსუნი | 17 | 6 | 4 | 7 | 21:27 | 22 |
| სარიერი | 17 | 6 | 3 | 8 | 26:25 | 21 |
| გენჩლერბირლ. | 17 | 6 | 3 | 8 | 15:20 | 21 |
| ანკარაგიუჯიუ | 17 | 6 | 2 | 9 | 20:27 | 20 |
| ალთაი | 17 | 5 | 4 | 8 | 16:33 | 19 |
| ანთალია | 17 | 4 | 5 | 8 | 20:25 | 17 |
| დარდანელი | 17 | 3 | 4 | 10 | 12:33 | 13 |
| ვანი | 17 | 3 | 3 | 11 | 13:30 | 12 |
| დენიზლი | 17 | 3 | 2 | 12 | 18:34 | 11 |
| ზეითუნბურნუ | 17 | 1 | 2 | 14 | 13:45 | 5 |

### ინგლისი

XVIII ტურის ბოლო მატჩი

**ნიუკასლი 1:1 ლივერპული**

**ნიუკასლი:** ხრნიჩეკი, უოტსონი, ელიოტი, პიკოკი, ალბერი, ლი, გილესპი (ბარტონი 90), ჟინოლა (კლარკი 36), ბერდსლი, შირერი, ფერდინანდი (კიტსონი 85)

**ლივერპული:** ჯეიმსი, ბები, ბიორნებიუ, რაიტი, რადოკი, მაკატირი, მაკმანამანი, კოლიმორი, ფაულერი, ბარნსი, ტომასი

**გოლი:** შირერი (28), ფაულერი (45)

**გაფრთხილება:** რაიტი, ტომასი

ბოლო შვიდი მატჩია, „ნიუკასლმა“ მოგება არ იცის, კარგა ხანია, ლიდერობა დაჰკარგა და ახლა ოლიმპზე დასაბრუნებლად იბრძვის. დაძაბულობა შეხვედრის დასაწყისამდეც იგრძნობოდა — ტურის ეს ცენტრალური შეხვედრა მეტოქისათვის ერთობ მნიშვნელოვანიც იყო. მატჩის პირველივე წუთებიდან უპირატესობა „ნიუკასლმა“ მოიპოვა. საწყისი 10 წუთის მანძილზე მასპინძელთა მცველები მეტოქის ფორვარდებს ბურთი მიღების საშუალებას არ აძლევდნენ. 28-ე წუთზე „სენტ ჯეიმს პარკზე“ შეკრებილმა 36 ათასმა გულშემატკივარმა გაიხარა: „ნიუკასლის“ მორიგი შეტევის შემდეგ ფერდინანდის თაური ჯეიმსმა და ძელმა მოიგერიეს, მაგრამ ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა ალან შირერმა ანგარიში გახსნა. გოლამდე არბიტრმა ელერაიმ სტუმართა კარში აშკარა პენალტი არ დანიშნა, როცა რადოკმა ხელით ითამაშა. ტაიმი თითქოს ასეც უნდა დასრულებულიყო, მაგრამ 21 წლის რობი ფაულერმა გააყაიმა. 57-ე წუთზე ჯეიმსმა ძალიან იმარჯვა, როცა შირერის ყუმბარისებული დარტყმა აიღო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 19 | 11 | 5 | 3 | 36:18 | 38 |
| არსენალი | 18 | 10 | 5 | 3 | 34:18 | 35 |
| უიმბლდონი | 18 | 10 | 4 | 4 | 30:22 | 34 |
| ასტონ ვილა | 18 | 10 | 3 | 5 | 27:15 | 33 |
| მანჩესტერი | 18 | 8 | 7 | 3 | 37:25 | 31 |
| ნიუკასლი | 18 | 9 | 4 | 5 | 28:20 | 31 |
| ევერტონი | 18 | 7 | 7 | 4 | 26:20 | 28 |
| ჩელსი | 18 | 7 | 7 | 4 | 28:27 | 28 |
| შეფილდი | 18 | 6 | 8 | 4 | 19:20 | 26 |
| ტოტენჰემი | 18 | 7 | 4 | 7 | 18:18 | 25 |
| დერბი | 18 | 5 | 7 | 6 | 20:23 | 22 |
| ლიდსი | 18 | 6 | 4 | 8 | 15:20 | 22 |
| ლესტერი | 18 | 6 | 3 | 9 | 17:24 | 21 |
| სანდერლენდი | 18 | 5 | 5 | 8 | 17:26 | 20 |
| ვესტ ჰემი | 18 | 4 | 6 | 8 | 16:25 | 18 |
| საუთჰემპტონი | 18 | 4 | 4 | 10 | 27:32 | 16 |
| ქოვენთრი | 18 | 3 | 7 | 8 | 14:24 | 16 |
| მიდლსბრო | 18 | 3 | 6 | 9 | 21:33 | 15 |
| ბლექბერნი | 17 | 2 | 7 | 8 | 16:22 | 13 |
| ნოტინგემი | 18 | 2 | 7 | 9 | 16:30 | 13 |




ნიუკასლი — ლივერპული: მაკმანამანი შირერის და ალბერის გვერდის ცდილობს

იტალიის ნაკრებისა და ინგლისის „მიდლსბროს“ ფორვარდი ფაბრიციო რავანელი უკმაყოფილოა ინგლისური კლუბების სავარჯიშო სისტემით. მისი თქმით, ალბიონის ფეხბურთი საკმაოდ ჩამორჩება იტალიურს. „სტადიონები მშვენიერია, მაგრამ ეს ყველაფერს არ ნიშნავს. იტალიაში ვარჯიშისას ფიზიკურად უფრო ვიტვირთებოდი, ინგლისში ფეხბურთელებს ძირითადად სწრაფ ტემპში უწევთ თამაში, მათ უპირველესად სირბილი მოეთხოვებათ. ფეხბურთში კი, ვფიქრობ, სირბილის გარდა სხვა რამაც უნდა გააკეთო“ — განაცხადა რავანელიმ.




რავანელი დიდი ხალისით ჩავიდა ბობი რობსონთან, ახლა კი უკმაყოფილოა

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XIX ტური

26 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ასტონ ვილა — ჩელსი | 1,7 | 2,8 | 3,3 |
| ბლექბერნი — ნიუკასლი | 2,6 | 2,6 | 2,1 |
| ლიდსი — ქოვენთრი | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| 0:1 | 2,2 | 3,4 | 1,8 |
| ლივერპული — ლესტერი | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| მიდლსბრო — ევერტონი | 2,1 | 2,6 | 2,6 |
| ნოტინგემი — მანჩესტერ იუნაიტედი | 2,7 | 2,7 | 2,0 |
| სანდერლენდი — დერბი ქაუნთი | 1,7 | 2,8 | 3,3 |
| ტოტენჰემი — საუთჰემპტონი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| უიმბლდონი — ვესტ ჰემი | 1,4 | 2,8 | 5,6 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| შეფილდ უენსდეი — არსენალი | 2,6 | 2,6 | 2,1 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXV ტური

26 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრედფორდი — შეფილდ იუნაიტედი | 3,6 | 2,9 | 1,6 |
| გრიმსბი — ბოლტონი | 4,7 | 3,1 | 1,4 |
| 1:0 | 2,1 | 3,4 | 1,9 |
| იფსვიჩი — კრისტალ პალასი | 2,7 | 2,7 | 2,0 |
| მანჩესტერ სიტი — პორტ ვეილი | 1,6 | 3,0 | 3,4 |
| ოლდემი — ბირმინგემ სიტი | 2,3 | 2,5 | 2,3 |
| პორტსმუთი — სვინდონი | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| ქუინზ პარკი — ნორვიჩი | 1,4 | 3,2 | 4,4 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| რედინგი — ვესტ ბრომვიჩი | 1,8 | 2,8 | 3,0 |
| საუთენდი — ჩარლტონი | 1,7 | 2,8 | 3,3 |
| სტოკ სიტი — ბარნსლი | 2,5 | 2,5 | 2,2 |
| ტრანმერი — ჰადერსფილდი | 1,35 | 2,9 | 6,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ვულვერჰემპტონი — ოქსფორდი | 1,45 | 3,0 | 4,4 |
| 0:1 | 2,2 | 3,4 | 1,8 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XIX ტური

26 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| აბერდინი — სელტიკი | 2,3 | 2,5 | 2,3 |
| დანდი იუნაიტედი — მოზერველი | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| 0:1 | 2,2 | 3,4 | 1,8 |
| დანფერმლაინი — ჰართსი | 1,6 | 2,7 | 4,0 |
| ჰიბერნიანი — კილმარნოკი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| რეინჯერსი — რეით როვერსი | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XX ტური

28 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| არსენალი — ასტონ ვილა | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| ჩელსი — შეფილდ უენსდეი | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| 0:1 | 2,1 | 3,4 | 1,9 |
| ქოვენთრი — მიდლსბრო | 1,6 | 2,9 | 3,6 |
| დერბი ქაუნთი — ბლექბერნი | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| ევერტონი — უიმბლდონი | 1,8 | 2,8 | 3,0 |
| ლესტერი — ნოტინგემი | 2,0 | 2,7 | 2,7 |
| მანჩესტერ იუნაიტედი — ლიდსი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| ნიუკასლი — ტოტენჰემი | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| საუთჰემპტონი — ლივერპული | 3,3 | 2,8 | 1,7 |
| ვესტ ჰემი — სანდერლენდი | 1,5 | 2,8 | 4,4 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXVI ტური

28 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარნსლი — მანჩესტერ სიტი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| ბირმინგემ სიტი — ტრანმერი | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| ბოლტონი — საუთენდი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| ჩარლტონი — ვულვერჰემპტონი | 2,7 | 2,7 | 2,0 |
| კრისტალ პალასი — სტოკ სიტი | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ჰადერსფილდი — იფსვიჩი | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| ნორვიჩი — ბრედფორდი | 1,3 | 3,2 | 5,6 |
| 0:1 | 2,4 | 3,4 | 1,7 |
| ოქსფორდი — რედინგი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| პორტ ვეილი — პორტსმუთი | 1,7 | 2,7 | 3,4 |
| შეფილდ იუნაიტედი — ოლდემი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| სვინდონი — გრიმსბი | 1,2 | 3,4 | 7,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| ვესტ ბრომვიჩი — ქუინზ პარკი | 2,5 | 2,5 | 2,2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XX ტური

28 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| აბერდინი — ჰიბერნიანი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| სელტიკი — დანფერმლაინი | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| ჰართსი — მოზერველი | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| 0:1 | 2,2 | 3,4 | 1,8 |
| კილმარნოკი — რეინჯერსი | 5,6 | 3,2 | 1,3 |
| 1:0 | 2,4 | 3,4 | 1,7 |
| რეით როვერსი — დანდი იუნაიტედი | 2,2 | 2,5 | 2,2 |

### ფსონები ევროპის ქვეყნების ეროვნულ ჩემპიონატებში გამარჯვებაზე

#### გერმანია

| | |
|---|---|
| ბაიერნი | 1,5 |
| დორტმუნდი | 2,5 |
| ლევერკუზენი | 5,0 |
| შტუტგარტი | 5,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

#### ინგლისი

| | |
|---|---|
| ლივერპული | 2,0 |
| არსენალი | 3,0 |
| ნიუკასლი | 3,0 |
| მანჩესტერ იუნაიტედი | 4,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

#### საფრანგეთი

| | |
|---|---|
| მონაკო | 1,6 |
| პარი სენ-ჟერმენი | 2,0 |
| ბორდო | 7,0 |
| ნანტი | 7,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

#### ესპანეთი

| | |
|---|---|
| ბარსელონა | 1,8 |
| რეალი | 1,8 |
| დანარჩენი | 10,0 |

#### პორტუგალია

| | |
|---|---|
| პორტუ | 1,1 |
| ბენფიკა | 4,0 |
| სპორტინგი | 9,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

#### შვეიცარია

| | |
|---|---|
| ქსამაქსი | 1,7 |
| გრასჰოპერი | 2,5 |
| სიონი | 7,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

#### თურქეთი

| | |
|---|---|
| გალათასარაი | 2,2 |
| ტრაბზონსფორი | 2,5 |
| ფენერბაჩე | 2,5 |
| ბეშიქთაში | 6,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

#### იტალია

| | |
|---|---|
| იუვენტუსი | 1,5 |
| ინტერი | 3,0 |
| მილანი | 5,0 |
| რომა | 8,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

#### ჰოლანდია

| | |
|---|---|
| ეინდჰოვენი | 1,15 |
| ფეიენოორდი | 3,8 |
| აიაქსი | 8,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

#### ბელგია

| | |
|---|---|
| ბრიუგე | 1,6 |
| სტანდარდი | 3,0 |
| ანდერლეხტი | 4,0 |
| მუსკრონი | 5,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

#### ავსტრია

| | |
|---|---|
| რაპიდი | 1,25 |
| ზალცბურგი | 3,1 |
| ტიროლი | 5,0 |
| აუსტრია | 8,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

#### შოტლანდია

| | |
|---|---|
| რეინჯერსი | 1,15 |
| სელტიკი | 4,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

**ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა. თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე; ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.**

## CROCO-2

| ტირაჟი №06 | ტირაჟი №07 |
|---|---|
| 1. ასტონ ვილა — ჩელსი | 1. არსენალი — ასტონ ვილა |
| 2. ბლექბერნი — ნიუკასლი | 2. ჩელსი — შეფილდი |
| 3. მიდლსბრო — ევერტონი | 3. ქოვენთრი — მიდლსბრო |
| 4. ნოტინგემი — მანჩესტერი | 4. დერბი ქაუნთი — ბლექბერნი |
| 5. სანდერლენდი — დერბი ქაუნთი | 5. ევერტონი — უიმბლდონი |
| 6. ტოტენჰემი — საუთჰემპტონი | 6. ლესტერი — ნოტინგემი |
| 7. უიმბლდონი — ვესტ ჰემი | 7. საუთჰემპტ. — ლივერპული |
| 8. შეფილდი — არსენალი | 8. ვესტ ჰემი — სანდერლენდი |

მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ტირაჟში მოცემული 8 მატჩის მხოლოდ ძირითადი დროის შედეგი. მოგებულად ჩაითვლება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილია 8 მატჩის შედეგი. მინიმალური მოგება 50 ლარია, მაქსიმალური კი — 1000 ლარი.

7 შედეგის გამოცნობისთვის მოგება ფიქსირებულია — 5 ლარი. ერთ ბილეთში შევსებული ვარიანტების რაოდენობა შეზღუდული არ არის. თუ ტირაჟში შეტანილი რომელიმე მატჩი არ ჩატარდა, ჩაიშალა ან შეიცვალა მოედანი, ტირაჟი გაუქმებულად ცხადდება და მოთამაშეებს თანხა უბრუნდებათ.

ერთი ვარიანტის ღირებულებაა 1 ლარი.

მოგების ფონდს ემატება **JACK POT**

# ტერელ ბრენდონი კვირის მოთამაშეა

ნბა-ს მორიგი კვირის (16-22 დეკემბერი) საუკეთესო მოთამაშე გახდა „კლივლენდ კავალიერზის“ ტერელ ბრენდონი. მისმა გუნდმა იმ კვირაში სამიდან სამი მატჩი მოიგო, ხოლო ბრენდონი საშუალოდ 26,7 ქულას, 6,3 პასს, 5,0 მოხსნას და 1,67 ჩაჭრას აკეთებდა. ბრენდონს ასპროცენტიანი შედეგი ჰქონდა საჯარიმოებში — თერამეტიდან ყველა ჩააგდო.

კვირის მოთამაშეობის სხვა კანდიდატები იყვნენ: ენტონი მეისონი (შარლოტი), ტაირონ ჰილი (კლივლენდი), ერვინ ჯონსონი (დენვერი), გრანტ ჰილი (დეტროიტი), რეჯი მილერი (ინდიანა), პატრიკ იუინგი (ნიუ-იორკი), ჯონ ვილიამსი (ფინიქსი), მიტჩ რიჩმონდი (საკრამენტო), შონ ელიოტი (სან ანტონიო).

# რობინსონმა ფეხი მოიტეხა

„სან ანტონიო სფურზის“ ცენტრი დევიდ რობინსონი ხეირიანად მომჯობინებული და დაბრუნებულიც არ იყო, რომ კვლავ დაშავდა. ორშაბათს, „მაიამისთან“ მატჩის ბოლო მეოთხედში რობინსონმა ფეხი იტკინა. მან მოედანი დატოვა და ფეხი რენტგენით გაიშუქა. აღმოჩნდა, რომ კალათბურთელს ფეხი მოსტეხვოდა. შეგახსენებთ, რობინსონს მანამდე 18 მატჩი ჰქონდა გამოტოვებული წელკავის გამო.

ფეხის მოტეხვის შემდეგ რობინსონმა თქვა: „მთელი სეზონი გვერდაკვნეივით ვარ. ფეხის მოტეხვა კი ვიგრძენი, მაგრამ სანამ საბოლოო პასუხს მეტყოდნენ, მაინც ვლოცულობდი, ნეტავ, ასე არ იყოს-მეთქი, მაგრამ იმედმა მიმტყუნა.“

ნბა-ს 1995 წლის უძვირფასესი მოთამაშე, სულ ცოტა, თვენახევარს ვერ ითამაშებს და პარასკევს ოპერაციას გაიკეთებს — გატეხილ ძვალში ხრახნს ჩაუდგამენ.



ნიუ იორკი — ატლანტა: ალან ჰიუსტონმა (მარცხნივ) და ლარი ჯონსონმა ხაფანგში მოაქციეს ატლანტელი სტივ სმიტი

| სტატისტიკა 23 დეკემბრის ჩათვლით | | | | |
|---|---|---|---|---|
| **ქულა** | | | | |
| მაიკლ ჯორდანი | ჩიკაგო | 27 | 829 | 30,7 |
| შაკილ ონილი | ლეიკერზი | 28 | 731 | 26,1 |
| კარლ მელოუნი | იუტა | 26 | 658 | 25,3 |
| ლატრელ სპრიუელი | გოლ. სტეიტი | 27 | 665 | 24,6 |
| ჰაკიმ ოლაჯუონი | ჰიუსტონი | 23 | 538 | 23,4 |
| **მოხსნა** | | | | |
| ჯეისონ ვილიამსი | ნიუ ჯერსი | 17 | 276 | 16,2 |
| დენის როდმანი | ჩიკაგო | 25 | 394 | 15,8 |
| ჩარლზ ბარკლი | ჰიუსტონი | 22 | 333 | 15,1 |
| შაკილ ონილი | ლეიკერზი | 28 | 367 | 13,1 |
| დიკემბე მუტომბო | ატლანტა | 24 | 279 | 11,6 |
| **პასი** | | | | |
| მარკ ჯექსონი | დენვერი | 26 | 306 | 11,8 |
| ჯონ სტოქტონი | იუტა | 26 | 278 | 10,7 |
| ჯეისონ კიდი | დალასი | 22 | 200 | 9,1 |
| რობერტ პეკი | ნიუ ჯერსი | 23 | 205 | 8,9 |
| ნიკ ვან ექსელი | ლეიკერზი | 28 | 238 | 8,5 |
| **ჩაჭრა** | | | | |
| ედი ჯოუნზი | ლეიკერზი | 28 | 76 | 2,71 |
| გრეგ ენტონი | ვანკუვერი | 18 | 47 | 2,61 |
| გერი პეიტონი | სიეტლი | 29 | 74 | 2,55 |
| კლაიდ დრექსლერი | ჰიუსტონი | 26 | 55 | 2,12 |
| ალენ აივერსონი | ფილადელფია | 20 | 42 | 2,10 |
| **დაფარება** | | | | |
| შონ ბრედლი | ნიუ ჯერსი | 21 | 85 | 4,05 |
| დიკემბე მუტომბო | ატლანტა | 24 | 92 | 3,83 |
| შაკილ ონილი | ლეიკერზი | 28 | 83 | 2,96 |
| ალონზო მურნინგი | მაიამი | 27 | 73 | 2,70 |
| კევინ გარნეტი | მინესოტა | 22 | 54 | 2,45 |

# აღმოსავლეთის ლიდერები გამოიკვეთნენ

9 თებერვალს კლივლენდის „განდ არენაში“ ოლ-სტარის მატჩი გაიმართება. გუნდების საბოლოო შემადგენლობები ჯერ არ დადგენილა, მაგრამ გულშემატკივართა გამოკითხვის ლიდერები, ანუ სასტარტო ხუთეულის კანდიდატები უკვე გამოიკვეთნენ. ჯერჯერობით გამოქვეყნდა მხოლოდ აღმოსავლეთის კონფერენციის მიმდინარე შედეგები.

გულშემატკივრებმა ყველაზე მეტი ხმა მისცეს „ჩიკაგო ბულზის“ მოთამაშეს მაიკლ ჯორდანს. ამ უკანასკნელმა 111 525 ხმა მიიღო. ჯორდანი 1987 წლიდან მონაწილეობს ოლ-სტარებში და ამ ხნის განმავლობაში ჯამში ყველაზე მეტი ხმაც მიულია.

მეორე ადგილზეა „დეტროიტ პისტონზის“ ფორვარდი გრანტ ჰილი, რომელმაც 103 889 ხმა მიიღო. სხვათა შორის, ჰილს წინა ორ სეზონში ყველაზე მეტი ხმა ჰქონდა დაგროვებული.

აღმოსავლეთის გუნდის მეორე ფორვარდი ალბათ ჩიკაგოელი სკოტი პიპენი იქნება. ამ ამპლუის მოთამაშეთა შორის იგი მეორე ადგილზეა 89 945 ხმით. უკანასკნელებში მეორე პოზიცია უკავია „ორლანდო მეჯიქის“ გამთამაშებელს ანფერნი ჰარდევეის — 61 914 ხმა. საგულისხმო ისაა, რომ ჰარდევეი ამჟამად დაშავებულია და 9 თებერვალს შეიძლება ვერც მომჯობინდეს.

ცენტრებში კი ჯერჯერობით უკონკურენტოა „ნიუ იორკ ნიქსის“ პატრიკ იუინგი. მას 56 601 ხმა აქვს და ალბათ ვერაფერი შეუშლის ხელს ოლ-სტარში აღმოსავლეთის სასტარტო ხუთეულში მოსახვედრად.

**NBA. რეგულარული ჩემპიონატი**

23 დეკემბერი

**ნიუ იორკ ნიქსი — ატლანტა ჰოქსი 82:76, ორლანდო მეჯიქი — კლივლენდ კავალიერზი 89:84, მინესოტა ტიმბერვულვზი — იუტა ჯაზი 107:98, ჩიკაგო ბულზი — ნიუ ჯერსი ნეთსი 113:81, მილუოკი ბაქსი — ჰიუსტონ როკიტსი 81:76, მაიამი ჰითი — სან ანტონიო სფურზი 90:79, დენვერ ნაგიტსი — ფინიქს სანზი 112:109, ვაშინგტონ ბულიტსი — პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი 106:84, საკრამენტო კინგზი — ლოს ანჯელეს კლიპერზი 100:88**

**24 დეკემბერს მატჩები შობის დღესასწაულის გამო არ გამართულა.**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| ატლანტიკის დივიზიონი | | | |
| მაიამი | 20 | 7 | 74,1 |
| ნიუ იორკი | 19 | 7 | 73,1 |
| ვაშინგტონი | 13 | 13 | 50,0 |
| ორლანდო | 10 | 13 | 43,5 |
| ფილადელფია | 7 | 18 | 28,0 |
| ნიუ ჯერსი | 6 | 17 | 26,1 |
| ბოსტონი | 5 | 19 | 20,8 |
| ცენტრალური დივიზიონი | | | |
| ჩიკაგო | 24 | 3 | 88,9 |
| დეტროიტი | 20 | 5 | 80,0 |
| კლივლენდი | 17 | 9 | 65,7 |
| ატლანტა | 15 | 10 | 60,0 |
| შარლოტი | 15 | 11 | 57,7 |
| მილუოკი | 15 | 11 | 57,7 |
| ინდიანა | 12 | 12 | 50,0 |
| ტორონტო | 9 | 18 | 33,3 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| შუა-დასავლეთის დივიზიონი | | | |
| ჰიუსტონი | 21 | 6 | 77,8 |
| იუტა | 20 | 6 | 76,9 |
| მინესოტა | 10 | 17 | 37,0 |
| დალასი | 9 | 16 | 36,0 |
| დენვერი | 8 | 19 | 29,6 |
| სან ანტონიო | 6 | 18 | 25,0 |
| ვანკუვერი | 6 | 22 | 21,4 |
| წყნარი ოკეანის დივიზიონი | | | |
| სიეტლი | 20 | 9 | 69,0 |
| ლეიკერზი | 19 | 9 | 67,9 |
| პორტლენდი | 14 | 14 | 50,0 |
| საკრამენტო | 11 | 17 | 39,3 |
| გოლდენ სტეიტი | 10 | 17 | 37,0 |
| კლიპერზი | 10 | 18 | 35,7 |
| ფინიქსი | 8 | 18 | 30,8 |



# პირველი ამერიკაში და თანაც ქართველი



საოცარი ხალხი ვართ ქართველები: თუ რაიმე ძალიან მოვინდომეთ, დრო და სივრცე ჩვენთვის აღარ არსებობს და წამოწყებული საქმე ბოლომდე მიგვყავს.

სივრცემ და მანძილმა არც „შევარდენის“ ოლიმპიური რეზერვების სპორტსკოლის დირექტორი დავით ქავთარაძე დააბრკოლა, „რკინის ქალამნები“ ჩაიცვა და ცხრა მთასა და ზღვას იქით გაეშურა: კუნძულ კუბაზე კრივში მსოფლიოს ჩემპიონატი ტარდებოდა ახალგაზრდებს შორის. ქავთარაძეს კრივის სიყვარულთან ერთად დიდი სურვილიც ამოძრავებდა — ევროპის საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის წოდების მოპოვება და მიაღწია კიდეც საწადელს — იგი პირველია სამოყვარულო კრივის ისტორიაში, ვინც ეს წოდება ამერიკის კონტინენტზე მოიპოვა.

„ევროპელი მსაჯები ევროპაში აბარებენ გამოცდებს. მსოფლიოს ჩემპიონატზე ევროპის კატეგორიის მსაჯის წოდების მისაღები გამოცდები არ ტარდება. მსოფლიოს ასოციაციის პრეზიდენტი, პაკისტანელი ჩაუდრი გაოცებული დარჩა, ჩვენმა ფედერაციამ და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ, კერძოდ, ჯანო ბაგრატიონმა რომ მიშუამდგომლა. „თანახმა ვარ, გამონაკლისი დავუშვა და გამოგცადოთ, ოღონდ, არც ხუთი კონტინენტის კრივის ასოციაციის პრეზიდენტები უნდა იყვნენ წინააღმდეგნიო“, მითხრა ჩაუდრიმ. სამი დღე ველოდი მათ გადაწყვეტილებას. საბედნიეროდ, უარი არცერთს განუცხადებია და გამოცდაზეც დამიშვეს“ — გვითხრა დავით ქავთარაძემ.

გამოცდა კი ასეთი იყო: ახალი წესის მიხედვით, მსოფლიოს ჩემპიონატებზე ვეტერანი მსაჯების გარდა ხუთივე კონტინენტის პრეზიდენტი ადევნებს თვალს ბრძოლებს. საკამათო სიტუაციის დროს სწორედ მათი სიტყვაა გადამწყვეტი. ქავთარაძემ პრეზიდენტებთან ერთად 25 ორთაბრძოლა იმსაჯა. შემდგომ, როცა მისი და პრეზიდენტების შედეგები რაუნდების მიხედვით შეადარეს, აღმოჩნდა, რომ ქართველის შეფასება სრულიად ემთხვეოდა გამომცდელთა აზრს. ბატონი დავითი წესების თეორიულ ცოდნაშიც გამოცადეს და ამშიც დადებითად შეაფასეს.

რამდენიმე დღის წინ კი დავით ქავთარაძემ მიიღო ევროპის საერთაშორისო კატეგორიის მსაჯობის დამადასტურებელი პასპორტი. მას უფლება აქვს, იმსაჯოს ყველა დონის შეჯიბრზე ოლიმპიადისა და მსოფლიოს ჩემპიონატის გარდა. თუმცა, როგორც თავად გვითხრა, ჯერ რამდენიმე ტურნირს იმსაჯებს, შემდეგ კი უფლებას მოიპოვებს მსოფლიო კატეგორიის მსაჯის წოდების მისაღებად ჩააბაროს გამოცდა და მერე ოლიმპიადაზე მსაჯობის უფლებასაც მისცემენ. „არ შემიძლია, მადლობის სიტყვები არ ვუთხრა სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ თავმჯდომარეს ბერდია გუგავას, თელეთის პოლიციის უფროსს გივი შინდელაშვილს და ჩემს მეგობარს იური ინჯიაშვილს. მათი ფინანსური შემწეობით შევძელი კუბაში გამგზავრება“ — თქვა დავით ქავთარაძემ.

ჩემი მხრივ დავძენ: უეჭველია, რომ კიდევ ერთი ქართველი მსაჯის ყოფნა საერთაშორისო შეჯიბრებებზე დიდად წაადგებათ ჩვენს მოკრივეებს. ქავთარაძე მესამეა ჩვენი ქვეყნიდან, ვინც ნოგენი თორთლაძისა და ზურა ტიბუას შემდეგ საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის წოდება მოიპოვა.

ბატონი დავითი აბა, რის ქართველი იქნებოდა, ცხრა მთას იქით წასულიყო და კურიოზული თავგადასავალი არ გადახდენოდა. მისი მოგზაურობა კინაღამ საბედისწეროდ დამთავრდა, მაგრამ, ღმერთის წყალობით, ყველაფერი კეთილად დასრულდა.

„კუბაში თეთრი ფერის სპორტული ფეხსაცმელი შევიძინე, ვიფიქრე, მსაჯობისას გამომადგება-მეთქი, ფეხზეც მოვირგე, მაგრამ ახალმა ფეხსაცმელმა იარა გამიჩინა. ფეხი ისე მტკიოდა, რომ ფლოსტების მეტს ვერაფერს ვიცვამდი. მტკივანი ფეხით გავედი ქალაქში და ტროპიკულ წვიმაში მოვხვდი. ჭრილობაში ინფექცია შეიჭრა და ტროპიკული ვირუსი შემეყარა.

სანამ სსრკ არსებობდა, ლათინური ამერიკისა და აფრიკის ქვეყნებში ტროპიკულ დაავადებათა საწინააღმდეგო აცრის გარეშე არავის უშვებდნენ. მაგრამ გამგზავრების წინ აცრაზე არც მიფიქრია და უყურადღებობისთვის დავისაჯე კიდეც.

ჩემპიონატის დამთავრებიდან სამი დღის შემდეგ მოსკოვისკენ კუბური ავიაკომპანიის რეისით გავფრინდი. თვითმფრინავში ფეხი საშინლად გამისივდა, გამცილებელს ვუხმე და ჩემი გასაჭირი ვუთხარი, მან კი პილოტს შეატყობინა. კანარის კუნძულებზე სადაც ავზები საწვავით უნდა აევსოთ, კაპიტანმა დისპეტჩერს აცნობ, ბორტზე საქართველოს მოქალაქე გვყავს, მას სასწრაფო დახმარება ესაჭიროება და გთხოვთ რამე იღონოთო. ასე აღმოვჩნდი ლას პალმასის საავადმყოფოში. შრატი გამიკეთეს და ფეხიც დამიცხრა. არადა, ტროპიკული დაავადება სახიფათო რამ არის და, ოპერატიულობა და გულისხმიერება რომ არა... ერთი სიტყვით, მადლობა ღმერთს, რომ გადავრჩი“.

ერეკლე კიკილაშვილი



# შენ ჭამე, შენ იშიმშილე!

ახალ წელს ახალი ამბით შეხვდებიან თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავენი — ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ (ფილა) ახლებურად გამიჯნა წონითი კატეგორიები და ათის ნაცვლად რვა წონა დააწესა. 48 და 52 კგ კატეგორიების ნაცვლად 54 კგ იქნება, ასევეა მძიმეწონოსნებშიც — 100 და 130-ის ნაცვლად — 125. დანარჩენი 6 წონითი კატეგორია ასე გამოიყურება: 58 (იყო 57), 63 (62), 69 (68), 76 (74), 85 (82), 97 (90). მოკლედ, ფილა-ს ეს გადაწყვეტილება მოჭიდავეთა ნაწილს დიდად გაახარებს, ნაწილს კი უთუოდ დაამწუხრებს: მოახლოვებული შეჯიბრებებისთვის ფორმის შესანარჩუნებლად ვის შიმშილი მოუწევს, ვისთვის კი მისწრება იქნება საახალწლო სუფრაზე მოლხენა.

არქიტექტურული სტუდია
გთავაზობთ:
პროექტირება
მშენებლობა
დიზაინი
ინტერიერი
საკუთარი და საერთო
საცხოვრებელი სახლები, აგარაკები, ბანკები, ოფისები,
ავტოგასამართი სადგურები, კვებისა და ვაჭრობის ობიექტები,
შენობა-ნაგებობათა ფასადები,
ბუხრები, აგრეთვე სხვა
საპროექტო და
სამშენებლო სამუშაოები
ალ. ყაზბეგის გამ. №42
II კორპ, IV სართული
T: 99 03 15

# ავტოსპორტი

ფორმულა

## ცხელ-ცხელი ამბები

სეზონთაშორისი პერიოდის ყოველ კვირას ახალ-ახალი ამბები მოაქვს. ზოგი სიახლე გუნდების შემადგენლობას ეხება, ზოგი — კონსტრუქტორებსა და სპონსორებს, ზოგს კი, ჩემპიონატის წესებსა და ვადებზე, თვით ფია აქვეყნებს.

არც წლევანდელი არდადეგებია გამონაკლისი. იგი უხვად გვამარაგებს ჭორ-მართლით:

დაირხა ხმა, რომ მომავალ წელს „ჯორდანის" ღირსებას ნაიჯელ მენსელი დაიცავს. თუმც გუნდის პრეს-სამსახური ჯიუტად უარყოფდა ამას, მაინც ალიარებდა, რომ ედი ჯორდანს უსაუბრია მსოფლიოს ექს-ჩემპიონთან მისი მომავალი გეგმების შესახებ. თუ ეს ხმები გამართლდებოდა, „ჯორდან-პეჟოს" შედეგების გაუმჯობესების დიდი შანსი ჰქონდა.

კენ ტირელის გუნდში მიკა სალოს (ფინეთი) მხარს დაუმშვენებს ჰოლანდიელი იოს ვერსტაპენი, რომელიც წელს „ეროუზით" ასპარეზობდა, ოლივიე პანის (ლიჟიე-მუგენ-ჰონდა) კი პარტნიორობას იაპონელი შინიჯი ნაკანო გაუწევს. „მინარდის" ბოლიდებით ალბათ ჯან-კარლო ფიზიკელა (იტალია) და ახალგაზრდა, 20 წლის ბრაზილიელი ტარსუ მარკეში იასპარეზებენ. ამან წელს რამდენიმე ეტაპზე უკვე მოსინჯა ეს ბოლიდები. რაც შეეხება „ფორტისა" და კიდევ ერთ დებიუტანტს — „დოუმს", რომელიც ახალი იაპონური გუნდია, მათ ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილი კი გამოთქვეს, მაგრამ ჯერ ოფიციალური განაცხადი არ წარუდგენიათ.

ცვლილებებია ზოგიერთი გუნდის საკონსტრუქტორო ბიუროებშიც. „ბენეტონმა" გუნდიდან დაითხოვა მთავარი კონსტრუქტორი როს ბრაუნი და მისი მოადგილე რორი ბირნი. ბრაუნი შუმახერის „კერძო" კონსტრუქტორი იყო: თუ მშვენივრად ახერხებდა მიხაელის სურვილების შესაბამისად მანქანის მომზადებას, ალეზისა და ბერგერის მოთხოვნებს ვერაფერი მოუხერხა.

ბოლო წლებში „ბენეტონის" საკონსტრუქტორო ბიურო არსებული მოდელების მოდიფიცირებით იყო დაკავებული, პრინციპულად ახალი კი არაფერი შეუქმნია. გუნდში ტექნიკური პროგრესი თითქო შეწყდა. სწორედ ამით უნდა იყოს გამოწვეული ეს ცვლილება. მთავარი კონსტრუქტორის პოსტს ნიკ უირტი დაიკავებს, რომელიც ადრე „სიმტეკის" კონსტრუქტორ-მენეჯერი იყო. ერთი კია, საგაისო ბოლიდს გუნდიდან წასვლამდე ალბათ მაინც ბირნი შექმნის, უირტს კი მისი მორჯულება და დახვეწა მოუწევს.

„უილიამსის" საჯინიბოს ტოვებს კონსტრუქტორი და აერო-დინამიკოსი ედრიან ნიუი, თუმც კი კონტრაქტი 1999 წლამდე აქვს გაფორმებული. წასვლის მიზეზად იგი გუნდიდან ჰილის გაშვებას ასახელებს. ფრენკ უილიამსი და პატრიკ ჰედი ბევრს ეცადნენ, ედრიანს გუნდის მესამე თანა-მფლობელად გახდომაც კი შესთავაზეს, მაგრამ ეს კაცი პრინციპული გამოდგა და გაისად ალბათ „მაკლარენის" კონსტრუქტორთა ჯგუფს შეუერთდება. ისე კი, მომავალი სეზონისთვის „უილიამსის" ბოლიდს მაინც ის შექმნის.

ცნობილი გახდა, რომ გაისად „ზაუბერის" მანქანებზე წლევანდელი მოდელის „ფერარის" 10-ცილიანდრიანი ძრავები დამონტაჟდება, სამომავლოდ კი ეს გუნდი საკუთარ ძრავების შექმნას აპირებს. გამორიცხული სულაც არაა, რომ ეს პროექტიც „ფერარის" დახმარებით განხორციელდეს.

ამ პერიოდში არც ფია მჯდარა გულხელდაკრეფილი. მისმა საბჭომ დაამტკიცა ტექნიკური ცვლილებები 1998 წლისათვის. იმ დროისთვის აიკრძალება მშრალი ამინდისათვის განკუთვნილი უპროტექტორო საბურავები — სლიკები. ეს შეამცირებს ტრასასთან შეჭიდებასა და მოსახვევების გავლის სიჩქარეს.

ცვლილებები შეეხება მუხრუჭებსაც, რაც სამუხრუჭე გზას გაზრდის და უფრო მოხერხებულ პილოტებს მოსახვევში შესვლისას მოწინაამდეგეთა გასწრების საშუალებას მისცემს.

200 სმ-დან 180-მდე შემცირდება ბოლიდების მაქსიმალური განიც, რამაც ასევე უნდა შეუწყოს ხელი მოსახვევებში სიჩქარის შემცირებასა და გასწრების შანსის გაზრდას.

ალეკო ჟაბუკიანი

# აის-ჰოკეი

## ეროვნულ ლიგაში

**20. XII. ჰარტფორდი — დალასი 1:4, ბუფალო — ლოს-ანჯელესი 6:2, ვაშინგტონი — სან-ხოსე 3:2, ჩიკაგო — ფლორიდა 1:3, ფინიქსი — ტორონტო 5:2, ედმონტონი — ნიუ-ჯერზი 2:3, ვანკუვერი — დეტროიტი 3:2, ანაჰაიმი — კალგარი 7:0**

ნჰლ-ის გუნდებმა უკვე საკმაოდ იპაექრეს. ყველაზე საიმედონი, ბოლო წლების დარად, კვლავ ატლანტიკელები არიან. ფლორიდამ სტარტიდანვე ჩინებულად დაიწყო, მას თანდათან ფილადელფია და ნიუ-ჯერზი წამოეწივნენ, ახლა კი ლიდერთა პაექრობაში ბრწყინვალე წაუგებელი სერიის შემდეგ რეინჯერზიც ჩაერთო.

პარასკევს ფლორიდამ და ნიუ-ჯერზიმ ისევ მოიგეს. „პანთერებმა" მელანსის მიერ უმრავლესობაში შეგდებული ორი შაიბის (სულ 14) შემდეგ ჩიკაგოს შანსი არ დაუტოვეს. საბოლოო წერტილი 1995 წლის დრაფტის მეათე ნომერმა ჩეხმა დვორჟაკმა დასვა, ვინაც ერთობ მოუმატა — მატჩი არ არის, ქულა რომ არ მოაგროვოს. აი, ნიუ-ჯერზელებს კი ედმონტონმა გაუწია მედგარი წინააღმდეგობა. მხოლოდ ბოლო პერიოდში კაპიტან სტივენსის შაიბის შემდეგ გაინაღდეს „ეშმაკებმა" ორი ქულა.

დღის გმირი ანაჰაიმელი კარია იყო. წელს მან თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარა და 5 (2+3) ქულით ლომის წილი დაიდო კალგარის განადგურებაში. თუმცა, არც მისმა პარტნიორებმა შეირცხვინეს თავი: სელიანემ (1+2) მე-18 შაიბა შეაგდო, ცენტრმა რუჩინმა (1+2) — მე-7. კარიამ 13 თამაშში 24 (9+15) ქულა დააგროვა.

პირველი იყო, იაგრი და ლემიე კი თითო ქულით ჩამორჩებოდნენ.

ფილადელფიელი „მფრინავების" მეკარეებს — სნოუსა და ჰექსთოლს ზედიზედ ოთხ თამაშია, გოლი არ გაუშვიათ. გუნდის ისედაც აგრესიულ თავდამსხმას ეს მეტად ასხამს ფრთებს: ლინდროსმა ამჯერად 2 პასი გააკეთა, ხოლო ლეკლერმა (1+0; 20) მე-300 ქულა დააგროვა. ფილადელფიამ ზედიზედ მეშვიდე გამარჯვება მოიპოვა: 27 ნოემბრის შემდეგ ერთი მატჩიც აღარ წაუგია (9 მ, 1 ფ).

ორ დღეში ორი მოგება მიითვალეს დალასმა და ბუფალომ. მათ ერთნაირი ანგარიშით — 3:2 მოუგეს აუტსაიდერებს — აილენდერზსა და ოტავას. დალასმა ბოლოსწინა წუთზე, ნიუნდაიკის გოლით მიაღწია საწაულს, ბუფალოელი ჰოლცინგერი (1+1; 11) კი ლაფონტენის არყოფნაში პირველი ცენტრის ადგილზე საკმაოდ კარგად გამოიყურება.

ტორონტოს გამარჯვება მოულოდნელი იყო. ამაში მთავარი წვლილი შვედმა სუნდინმა შეიტანა. მან კარიერის მეხუთე ჰეთ-თრიქი (3+1; 22) გააკეთა და 48 ქულით ლიდერთა სამეულს დაემუქრა.

ჰარტფორდი და ტამპა ცხრილის თავში და ბოლოში იმყოფებიან, მაგრამ მათ შეხვედრაში წინ თითქმის სულ ტამპა იყო.

ლაზე მეტად ფიოდოროვს მოუხდა. სეზონის დასაწყისში იგი უარს ამბობდა ამ „მინი-ნაკრებში" გამოსვლაზე, რადგან ცენტრად თამაში არ უწევდა. ედმონტონის საუკეთესო სნაიპერმა კოვალენკომ მე-16 გოლი გაიტანა.

კალგარელმა ტიტოვმა (3+1; 13) კარიერაში მეორე ჰეთ-თრიქი შეასრულა და თავისიანებს დამაჯერებლად მოაგებინა ფინიქსში. არადა, ორი დღის წინ კალგარიმ მწარე მარცხი იწვნია ანაჰაიმში.

ჩინებულ ფორმაში მყოფმა რეინჯერზმა გაანადგურა ლიგის ყველაზე მედგარი გუნდი ფლორიდა, რომელსაც აქამდე ერთ მატჩში 7 შაიბა არასოდეს გაეშვა. ამჯერად კოვალიოვ (2+1) — მესიეს (2+2; 18) დუეტმა გაიბრწყინა. მარკმა 1 500-ე ქულა დააგროვა, გრეცკიმ ერთი პასი იკმარა, ფლორიდელი შეპარდის ჰეთ-თრიქი კი შეუმჩნეველი დარჩა, რაკი ორი შაიბა ბოლოსღა შეაგდო, როცა ანგარიში 7:1 იყო.

ჩიკაგოელმა კრივოკრასოვმა შეწყვიტა ფილადელფიის გოლკიპერების 265-წუთიანი „მშრალი" სერია. მფრინავები ლინდროსის (2 შაიბა) თავგამოდებამ იხსნა.

რუსებმა არც სენტ-ლუისი — ლოს-ანჯელესის მატჩში შეირცხვინეს თავი. ციპლაკოვმა 2 (1+1) ქულა დააგროვა, მაგრამ ყურადღება მაინც სენტ-ლუისელმა ჰალმა მიიპყრო. მსოფლიო თასის საუკეთესო სნაიპერს გუნდის მრძლვარი კინენი არ წყალობდა, მისი გადადგომის შემდეგ კი ჰალმა გაილაღა. მან ლიგაში 26-ე ჰეთ-თრიქიც გააკეთა, მე-500 შაიბაც შეაგდო და ხუთი მარცხის შემდეგ კლუბის ახალი



ჰალი - 500

ალმოსავლეთის საუკეთესო მეკარეებმა — ჰაშეკმა და ბროდომ კვლავ დაადასტურეს კლასი და კარი „მშრალად" შეინახეს. „მშრალი" მატჩების რაოდენობით ჰაშეკი (5) კოლორადოელ რუას დაეწია.

მეტად საჭირო ორი ქულა გახერხეს ფინიქსმა და სან-ხოსემ. დაძაბულ ბრძოლაში მათ ანაჰაიმს და დალასს სძლიეს. ფინიქსელმა გარტნერმა (16) და სან-ხოსელმა ნოლანმა, ვისაც კარგა ხანს ბედი არ წყალობდა, გამარჯვების შაიბები შეაგდეს.

ოტავას ჯეელმა ჰოკეისტებმა გაანადგურეს დასუსტებული მონრეალი. ცოტა ხნის წინ ფარმ-კლუბიდან გამოძახებულმა ლატვიელმა ჟოლტოკმა და ეგზომ ნაქებმა დეიგლმა (13) ორ-ორი გოლი მიითვალეს.

კიდევ უფრო მძიმე მარცხი იწვნია არასტაბილურმა ვანკუვერმა. მისი ლიდერები — მოგილნი და ბურე კვლავ პასიურობდნენ. სამაგიეროდ, ედმონტონელებმა კოვალენკომ (2+0; 18) და სმითმა (2+0; 17) გაიზარდეს მონაგარი. სმითს ახალბედათა შორის ჯერჯერობით ბადალი არ ჰყავს.

ფორსბერგის არყოფნაში კოლორადოს კაპიტანი საკიკი კიდევ უფრო დაიტვირთა. ეს კლუბს კი დაეტყო, მაგრამ მოგება მაინც უჭირს. ბოლო წუთზე ლაკრუას (11) რომ არ გაეტანა, თასის მფლობელი ორი ქულის გარეშე დარჩებოდა. საკიკმა (1+1, 15) უმრავლესობაში იმარჯვა.

პიტსბურგმა „ნაღდ ბრაზილიურად" ეთამაშა აუტსაიდერ ტორონტოს — თეითონაც გაქონდა, მეტოქესაც ახარებდა და აკი კიდეც გაუმართლა. მარტო იაგრისა და ლემიეს თამაში ღირდა ერთ რამედ. იაგრმა (2+3; 32) ოთხი უგოლო მატჩის შემდეგ გაიტანა გოლები, ლემიემ კი (2+1; 23) ბოლო ოთხ მატჩში იაგრის 8 პასი შაიბად აქცია. ამ დუეტმა კვლავ გაუსწრო გრეცკის. ისე კი, არც ტორონტოს ბომბარდირები მსხდარან გულხელდაკრეფილი: სუნდინმა (1+1; 23) და გილმორმა (0+3) სამი გოლი მოაწყვეს.

სამველ ლარიბიანი

## სამოგაო არდადეგების წინ

წყნარი ოკეანელები ატლანტიკელებივით მარჯვენი ვერ არიან. კალგარისა არ იყოს, წააგეს სან-ხოსემ და ლოს-ანჯელესმა. სან-ხოსემ ვაშინგტონს უიღბლო სერია (6 წ, 1 ფ) შეაწყვეტინა. დედაქალაქელთაგან შაიბები რუსმა გონჩარმა (ორი) და პაუსლიმ მიითვალეს. ლოს-ანჯელესი 2:0 დაწინაურდა, მაგრამ ბუფალოს იერიშებს ვეღარ გაუძლო და პლანტის (16) შაიბების მერე ფარ-ხმალი დაყარა.

ცენტრში არ ხუმრობს დალასი: „ვარსკვლავებმა" ჩრდილო-აღმოსავლეთის ლიდერ ჰარტფორდს 4:1 მოუგეს, რაც ლატვიელი მეკარის — არტურ ირბეს (30 მოგერიება) დამსახურებაა.

ვერაფრით შველის თავს ტორონტო, რომელიც თავის უშუალო კონკურენტს — ფინიქსსაც კი ვერ გაუმკლავდა. ეს არცაა გასაკვირი, რაკი კლუბის ლიდერთაგან მხოლოდ სუნდინი თამაშობს სტაბილურად და აშკარად ჯაბნის გილმორს, მიულერს და სხვა ბებრებს. აღნიშვნის ღირსია ფინიქსელი ტკაჩუკის მე-18 შაიბა.

**21. XII. პიტსბურგი — სან-ხოსე 3:1, მონრეალი — რეინჯერზი 2:3 (დამატებით დროში), ოტავა — ბუფალო 2:3, ჰარტფორდი — ტამპა 6:5 (დდ), კოლორადო — ტორონტო 2:6, აილენდერზი — დალასი 2:3, ბოსტონი — ვაშინგტონი 4:3, ფილადელფია — სენტ-ლუისი 4:0**

მძაფრდება ბომბარდირთა პაექრობა. ლემიე და გრეცკი, ვისთვისაც ეს სეზონი შეიძლება ბოლოც იყოს, ტოლს არ უდებენ ახალგაზრდა ჩეხ ვარსკვლავ იაგრს.

მორიგ მატჩებში ყველას გრეცკიმ აჯობა. მან კოივუს არყოფნით დასუსტებულ მონრეალს სამი საგოლე კომბინაცია მოუწყო. გადამწყვეტი გოლი რობიტაილმა ოვერ-ტაიმში გაიტანა. მარიოსა და იაგრის მონაგარი შესაბამისად 1+1 და 0+1 იყო.

ლემიეს შაიბის შემდეგ პიტსბურგმა გარდატეხა თამაში. უნდა ითქვას „პინგვინთა" მეკარის, დებიუტანტ ლალიმის მიღწევაზე: მან ხუთივე ჩატარებულ მატჩში გაამარჯვებინა კლუბს. გრეცკი 51 ქულით

ბოლო პერიოდში სანდერსონმა (2+0; 21) და კესელზმა (1+2, 9) გაათანაბრეს, ოვერტაიმში კი კრონმა მოაგებინა ჰარტფორდს.

**22. XII. რეინჯერზი — ფლორიდა 7:3, სენტ-ლუისი — ლოს-ანჯელესი 7:4, ედმონტონი — დეტროიტი 2:6, ჩიკაგო — ფილადელფია 2:2, ფინიქსი — კალგარი 2:7**

ეს დღე რუსებისა იყო. ისინი ხუთივე მატჩში გამოირჩნენ. მეტადრე დეტროიტის ხუთეულმა ისახელა თავი.

კონსტანტინოვმა, კოზლოვმა და ფიოდოროვმა ორ-ორი (1+1) ქულა დააგროვეს, ხოლო ლარიონოვმა 4 პასი გააკეთა ორ თამაშში. რუსების შეამხანაგება ყვე-

მწვრთნელი რობერტსიც გაახარა. სენტ-ლუისმა წელს პირველად გაიტანა 7 გოლი.

**23. XII. ბოსტონი — ჩიკაგო 3:3, მონრეალი — ოტავა 0:6, აილენდერზი — ფლორიდა 3:4 (დდ), ნიუ-ჯერზი — ბუფალო 0:0, ტამპა — ვაშინგტონი 1:3, ტორონტო — პიტსბურგი 5:6, დალასი — სან-ხოსე 1:2, კოლორადო — კალგარი 4:3, ვანკუვერი — ედმონტონი 0:7, ანაჰაიმი — ფინიქსი 1:2**

წუხანდელი განადგურების შემდეგ გონს მოსულმა ფლორიდამ პირველსავე პერიოდში 3-ჯერ დალაშქრა აილენდერზის კარი, მაგრამ მერე კინაღამ გაუშვა ხელიდან სანატრელი ორი ქულა და ოვერ-ტაიმშიღა ამოისუნთქა (შეპარდი).

| ალმოსავლეთი კონფერენცია | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩრდილო-ალმოსავლეთის დივიზიონი | თ | მ | წ | ფ | ქ | შ | შინ | გარეთ |
| ბუფალო სეიბრზი | 35 | 18 | 14 | 3 | 39 | 103: 95 | 9- 5-1 | 9- 9-2 |
| ჰართფორდ უეილერზი | 33 | 16 | 11 | 6 | 38 | 104:106 | 11- 6-1 | 5- 5-5 |
| პიტსბურგ პინგვინზი | 35 | 17 | 15 | 3 | 37 | 125:117 | 9- 3-2 | 8-12-1 |
| ბოსტონ ბრუინზი | 34 | 13 | 15 | 6 | 32 | 97:117 | 7-11-5 | 6- 4-1 |
| მონრეალ კანადიენზი | 35 | 12 | 18 | 5 | 29 | 111:125 | 8- 8-2 | 4-10-3 |
| ოტავა სენატორზი | 32 | 10 | 15 | 7 | 27 | 87: 97 | 5- 8-4 | 5- 7-3 |
| ატლანტიკის დივიზიონი | | | | | | | | |
| ფლორიდა-პანთერზი | 35 | 20 | 8 | 7 | 47 | 108: 83 | 10- 2-4 | 10- 6-3 |
| ფილადელფია ფლაიერზი | 36 | 21 | 12 | 3 | 45 | 110: 86 | 11- 6-1 | 10- 6-2 |
| ნიუ-ჯერზი დევილზი | 33 | 19 | 11 | 3 | 41 | 89: 77 | 9- 5-3 | 10- 6-0 |
| ნიუ-იორკ რეინჯერზი | 37 | 18 | 14 | 5 | 41 | 131:100 | 10- 7-2 | 8- 7-3 |
| ვაშინგტონ კეპიტოლზი | 35 | 15 | 18 | 2 | 32 | 94: 96 | 7- 7-1 | 8-11-1 |
| ნიუ-იორკ აილენდერზი | 34 | 11 | 15 | 8 | 30 | 90: 96 | 8- 8-2 | 3- 7-6 |
| ტამპა-ბეი ლაითნინგი | 33 | 11 | 19 | 3 | 25 | 92:106 | 3- 9-3 | 8-10-0 |
| **დასავლეთი კონფერენცია** | | | | | | | | |
| ცენტრალური დივიზიონი | | | | | | | | |
| დალას სთარზი | 35 | 21 | 11 | 3 | 45 | 100: 80 | 9- 7-2 | 12- 4-1 |
| დეტროიტ რედ ვინგზი | 35 | 18 | 11 | 6 | 42 | 104: 68 | 11- 4-3 | 7- 7-3 |
| ფინიქს კოიოტზი | 35 | 15 | 16 | 4 | 34 | 91:108 | 7- 9-4 | 8- 7-0 |
| სენთ-ლუის ბლუზი | 36 | 16 | 19 | 1 | 33 | 101:120 | 8-10-0 | 8- 9-1 |
| ჩიკაგო ბლექ ჰოუქსი | 37 | 14 | 18 | 5 | 33 | 91: 95 | 6-11-1 | 8- 7-4 |
| ტორონტო მეიფლ ლივზი | 36 | 14 | 22 | 0 | 28 | 109:129 | 9- 9-0 | 5-13-0 |
| წყნარი ოკეანის დივიზიონი | | | | | | | | |
| კოლორადო ავალანში | 35 | 20 | 10 | 5 | 45 | 123: 85 | 12- 4-3 | 8- 6-2 |
| ედმონტონ ოილერზი | 37 | 15 | 18 | 4 | 34 | 121:114 | 7- 8-2 | 8-10-2 |
| ვანკუვერ კანუქსი | 33 | 16 | 16 | 1 | 33 | 100:105 | 8- 8-0 | 8- 8-1 |
| კალგარი ფლეიმზი | 37 | 13 | 19 | 5 | 31 | 93:106 | 7- 7-2 | 6-12-3 |
| ანაჰაიმ მაითი დაქსი | 34 | 12 | 17 | 5 | 29 | 98:107 | 9-10-2 | 3- 7-3 |
| სან-ხოსე შარქსი | 34 | 12 | 18 | 4 | 28 | 83:110 | 5- 9-2 | 7- 9-2 |
| ლოს-ანჯელეს კინგზი | 35 | 12 | 19 | 4 | 28 | 93:120 | 6- 7-2 | 6-12-2 |

| მეკარეები | | თ | -შ | საშ |
|---|---|---|---|---|
| ქრის ოზგუდი | დეტრ | 25 | 40 | 1.69 |
| მარტინ ბროდერი | ნიუ-ჯერ | 26 | 50 | 2.04 |
| ენდი მუგი | დალასი | 27 | 52 | 2.04 |
| რონ ჰექსთოლი | ფილად | 26 | 53 | 2.16 |
| ჯონ ვანბისბრუკი | ფლორ | 24 | 51 | 2.20 |
| მარკ ფითსპატრიკი | ფლორ | 16 | 29 | 2.30 |
| პატრიკ რუა | კოლორ | 29 | 68 | 2.34 |


„სარბიელში"

რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ

95 26 90


სნაიპერები: იაგრი 32; ლემიე და სუნდინი 23; ამონტე 22; სანდერსონი 21; პალფი და ლეკლერი 20; შენაჰანი და ტკაჩუკი (ფინიქსი) 19; მესიე, სელიანე და კოვალენკო (ედმონტონი) 18

ასისტენტები: გრეცკი 38; საკიკი 33; ფორსბერგი 31; ლემიე და აიზერმანი 30; ლიჩი 29; ფრენსისი 28; სუნდინი 27; სელიანე და გილმორი (ტორონტო) 26

| ბომბარდირები | | თ | გ | პ | ქ | +/- | გაძ | მეტ | ნაკ | გგ | ფგ | დ | მქკ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| იარომირ იაგრი | პიტსბურგი | 35 | 32 | 23 | 55 | 13 | 34 | 8 | 2 | 4 | 1 | 146 | 21.9 |
| მარიო ლემიე | პიტსბურგი | 34 | 23 | 30 | 53 | 8 | 24 | 8 | 0 | 3 | 0 | 151 | 15.2 |
| უეინ გრეცკი | რეინჯერზი | 37 | 14 | 38 | 52 | 13 | 8 | 4 | 0 | 1 | 1 | 146 | 9.6 |
| მატს სუნდინი | ტორონტო | 36 | 23 | 27 | 50 | 10 | 22 | 3 | 3 | 4 | 0 | 129 | 17.8 |
| ჯო საკიკი | კოლორადო | 35 | 15 | 33 | 48 | 0 | 18 | 6 | 1 | 4 | 0 | 158 | 9.5 |
| ტემუ სელიანე | ანაჰაიმი | 34 | 18 | 26 | 44 | -4 | 14 | 3 | 1 | 3 | 1 | 110 | 16.4 |
| პეტერ ფორსბერგი | კოლორადო | 31 | 12 | 31 | 43 | 17 | 20 | 4 | 2 | 2 | 0 | 79 | 15.2 |
| სტივ აიზერმანი | დეტროიტი | 35 | 11 | 30 | 41 | 20 | 28 | 3 | 0 | 2 | 0 | 96 | 11.5 |
| ბრენდან შენაჰანი | დეტროიტი | 34 | 19 | 21 | 40 | 16 | 58 | 8 | 2 | 3 | 2 | 139 | 13.7 |
| რონ ფრენსისი | პიტსბურგი | 35 | 12 | 28 | 40 | 6 | 4 | 4 | 1 | 1 | 0 | 88 | 13.6 |
| საკუ კოივუ | მონრეალი | 30 | 13 | 25 | 38 | 4 | 20 | 4 | 0 | 2 | 0 | 84 | 15.5 |
| ბრაიან ლიჩი | რეინჯერზი | 37 | 9 | 29 | 38 | 12 | 20 | 5 | 0 | 0 | 0 | 125 | 7.2 |
| ზიგმუნდ პალფი | აილენდერზი | 33 | 20 | 17 | 37 | 14 | 31 | 4 | 2 | 4 | 0 | 117 | 17.1 |
| ტონი ამონტე | ჩიკაგო | 37 | 22 | 14 | 36 | 19 | 28 | 6 | 1 | 1 | 1 | 105 | 21.0 |
| ჯეფ სანდერსონი | ჰართფორდი | 33 | 21 | 15 | 36 | -1 | 15 | 6 | 1 | 2 | 1 | 115 | 18.3 |
| ჯონ ლეკლერი | ფილადელფია | 36 | 20 | 16 | 36 | 12 | 28 | 5 | 0 | 3 | 0 | 146 | 13.7 |

+/- მოედანზე ყოფნისას გუნდის მიერ გატანილი და გაშვებული გოლების სხვაობა; გაძ — საჯარიმო წუთები; მეტ, ნაკ — მეტობისას და ნაკლებობისას გატანილი შაიბები; გგ, ფგ — გამარჯვებისა და ფრეს მომტანი გოლები; დ — დარტყმები; მქკ — გატანილი გოლების შეფარდება დარტყმებთან

„სარბიელის" თანამშრომლები თანაუგრძნობთ ჩვენს ფოტო-კორესპონდენტ გურამ დოლენჯაშვილს

დედის

გარდაცვალების გამო.


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29